

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით ბალავაძე

ენერგეტიკის განვითარებისადმი საზოგადოებრივი განათლების
როლი და მისი ამაღლების მიმართულებები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: “ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“

შიფრი: 0405

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2018 წელი

საავტორო უფლება © 2018 წელი, დავით ბალავაძე

თბილისი

2018 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ბალავაძე დავითის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ენერგეტიკის განვითარებისადმი საზოგადოებრივი განათლების როლი და მისი ამდღეობის მიმართულებები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ივლისი, 2018

ხელმძღვანელი ----- პროფესორი დ. ჩომახიძე

რეცენზენტი -----

რეცენზენტი -----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2018

ავტორი: დავით ბალავაძე

თემის დასახელება: ენერგეტიკის განვითარებისადმი საზოგადოებრივი განათლების როლი და მისი ამალგების მიმართულებები

ფაკულტეტი : ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის

აკადემიური ხარისხი: აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა: ივლისი, 2018

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ენერგეტიკის განვითარების მრავალფაქტორთა შორის, ჩვენი ღრმა რწმენით ერთ-ერთი პრიორიტეტულია, დარგში საზოგადოების განათლებისა და მიმდინარე პროცესებში მისი ჩართულობის მნიშვნელობა, რომელიც დღემდე ჯეროვნად შეფასებული არ არის. ამ მიზნის მართებულობას ამტკიცებს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებული ბევრი მაგალითი. ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობის გარეშე, ნებისმიერ პროექტს, რაგინდ წარმატებულად არ უნდა იყოს, ჩაშლა ემუქრება. ეს ნათლად დაადასტურა თუნდაც ხუდონი ჰესის მაგალითმა, იგი თავის დროზე ქვეყანას ელექტროენერგიით დამოუკიდებელს გახდიდა. სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფაქტორად ასახელებს საზოგადოების განათლების მნიშვნელობას.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში მოცემულია ნაშრომის ზოგადი დახასიათება, განხილულია ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების განათლების როლი და მნიშვნელობა, აღწერილია კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები, დასაბუთებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის მიზანი, წარმოდგენილია კვლევის ობიექტები, პრობლემის მეცნიერული დამუშავების და შესწავლის დონე.

I თავი წარმოდგენილია, ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობები. განხილულია, ენერგეტიკაში წინა წლებში მომხდარი მოვლენები, დარგის რეგულირების როლი და პრინციპები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის განვითარების ეტაპები, ჩატარებული სოციალური გამოკითხვები ენერგეტიკის შესახებ, რომლის გამოყენებით შეფასებულია საზოგადოებაში არსებული ენერგეტიკული განათლება.

II თავი განხილულია, ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემები. საზოგადოებაზე შეთავაზებულია, ბუნებრივი გაზის სავაჭრო გადახდის განსხვავებული მოდელი. გამომდინარე ქვეყნის დაბალი ეკონომიკური დონიდან და გადამხდელუნარიანი მოსახლეობის სიმცირიდან, ბუნებრივი გაზის გადახდის სისტემის განსხვავებული მეთოდი, მოსახლეობას საშუალებას მისცემდა ზაფხულის ხარჯზე, ზამთარი უფრო იოლად გაეტარებინა და შეემცირებინა ბუნებრივი გაზის გათიშვის ალბათობა ზამთარში.

განხილულია საზოგადოების განათლების და ინფორმირებულობის მნიშვნელობა ენერგოეფექტიანობაში.

მნიშვნელოვანია თუ როგორ მოიხმარს მომხმარებელი მის მიერ შეძენილ ბუნებრივ გაზს და იცავს თუ არა, მოხმარებისას უსაფრთხოების წესებს. ამ თავში მოცემულია თუ რა პრობლემებია ამ კუთხით დედაქალაქში, როგორია უსაფრთხოების წესების არდაცვით გამოწვეულ უბედურების სტატისტიკა, რა ღონისძიებები ტარდება ამის

გამოსასწორებლად და რამდენად გონივრულად უდგება საზოგადოება ამ პრობლემას.

III თავი წარმოდგენილია, ენერგეტიკაში საზოგადოების განათლების ამდლები ძირითადი მიმართულებები. განხილულია, სოციალური მედიის გამოყენება ენერგეტიკაში, როგორც საშუალება საზოგადოებაზე ინფორმაციის დროულად მიწოდებისთვის, მაგალითად: საზოგადოება სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია და მისი გამოყენებით შესაძლებელია ხალხის დიდ მასამდე ინფორმაციის მიტანა ნებისმიერ დროს. წინა წლებში ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო ფორმა, ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები იყო, დღეს-დღეობით სოციალური ქსელით მაგ: facebook, twitter და სხვა საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის მიღება ნებისმიერ ადგილას ტელეფონის გამოყენებით, ინფორმაციის მიღებისთვის აღარ არის საჭირო მხოლოდ გაზეთის შეძენა ან სამსახურიდან მოსვლა და ტელევიზორის ჩართვა. კომერციული საქმიანობისთვის და ბიზნესისთვის დღეს-დღეობით სოციალური მედია მარჯვენა ხელია და თითქმის ყველა კომპანია იყენებს მას ბიზნესის რეკლამისთვის და ხალხზე ინფორმაციის მიწოდებისთვის. მაგალითად: სოციალური მედია შეიძლება გამოიყენოს ლუდის ქარხანამ, პროდუქტის რეკლამისთვის, რათა მისი რეალიზაცია გაიზარდოს, მაგრამ ჩნდება კითხვა, რაში უნდა დაჭირდეს ენერგოკომპანიებს რეკლამა, როდესაც მათ არ უჭირთ წარმოებული ან შეძენილი ენერჯის გაყიდვა და მარეგულირებელი ორგანო, ხელოვნურად ქმნის კონკურენტულ გარემოს. ენერგეტიკაში სოციალური მედია შეიძლება გამოყენებული იქნეს:

- საზოგადოებაზე ინფორმაციის დროულად მიწოდებისთვის;
- საზოგადოების ენერგეტიკული განათლების და ცნობიერების ამდლებისთვის;
- ენერგოკომპანიების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის;

გამოკვლეულია ხუდონი ჰესის მნიშვნელობა საქართველოს ენერგეტიკაში და საზოგადოების მხრიდან ხელისშემშლელი ფაქტორები. „ხუდონ ჰესის“ არაშენებით წლების განმავლობაში საქართველომ დაკარგა ელექტროენერჯით დამოუკიდებლობა, მილიარდზე მეტი დოლარის ინვესტიცია, 2000-2017 წლებში „ხუდონი ჰესის“ არაშენებით საშუალოდ ყოველ წელს დაკარგეთ 18% გაზრდილი წარმოებული ელექტროენერჯია.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა სადაც, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად მიჩნეულია, საზოგადოების ენერგეტიკული განათლება. ჩამოთვლილია დარგში მიმდინარე მოვლენების განხილვით, ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის გამოკვეთილი ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

საქართველოში ამ კუთხით სადისერტაციო ნაშრომე ჯერ არ ყოფილა დაცული. სასურველია ენერგეტიკაში ყურადღება მიექცეს საზოგადოების განათლების მნიშვნელობას და გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ თემას კიდევ უფრო ვრცლად გამოიკვლევენ.

Resume

Among many factors of energy development, one of the priorities of our deepest belief is the importance of public education and its involvement in the ongoing processes that are not yet well evaluated. The correctness of this goal is proved by a lot of examples that exists in the world and also in Georgia as well. Without the conscious participation of the public in the development of energy, any project can be disrupted, despite of how successful that project must not be. This was clearly confirmed by the example of Khudoni HPP, which in his time would make the country independent in electricity. The doctoral work names the importance of public education as the most priority factor of Georgian energy development.

The work includes the introduction, the three chapter, the conclusion and the bibliography.

The introduction provides the general characteristic of the work, there is discussed the role and the importance of the public education in the development of energy, the methodological and theoretical foundations of the research are described, the scientific novelty of the thesis and the goal of the research is presented, there are presented research objects, scientific research and study level of the problem.

Chapter I represents the relationships between energy and society. It discusses the events in the previous years, the role and principles of regulation of the field, the stages of development of consumer rights, there are conducted social survey on energy, using which the energy education in society is assessed.

Chapter II discusses the problems existing between energy and society. The society is offered a different model of payment of natural gas. Due to the low economic cost of the country and the lack of taxpayer population, the different method of payment of the natural gas system would allow the residents to spend the winter more easily and reduce the likelihood of cutting off natural gas in winter.

There is discussed the importance of education and awareness of society is considered in energy efficiency.

It is important for consumers how they use the natural gas purchased by them and if they protect the safety rules of consumption. In this chapter it is represented what are the problems in the capital in this regard, what is the statistics of accidents caused by not protect of safety rules, what measures are held to correct it and how reasonably society tries to solve this problem.

Chapter III presents the main directions of increasing public education in energy sector. Also there is discussed the use of social media in the energy industry as a means to provide timely information to society. For example: the community is an active user of social networks and it can be used to inform a lot of people at any time. The best form of information for people in previous years was television and magazines and newspapers, today social networks such as: Facebook, Twitter and other means the information can be get via using the phone at any place, it is

no longer necessary for getting information to buy a newspaper or watch a TV. Social media is now the right hands for commercial activities and business, and almost all companies use it for advertising and delivering information to people. For example, the social media may use a beer factor to advertise the product to increase its realization, but the question arises why the energy companies need to advertise when they do not have the problem to sell the produced or acquired energy and the regulatory body artificially creates a competitive environment. Social media in the energy industry can be used:

- To provide timely information to the public;
- To increase community education and awareness in energetic;
- To improve the quality of service of energy companies;

The importance of the Khudoni HPP is explored in the energy sector and the obstacles of the society. By not building Khudoni HPP Georgia has lost electricity independence over the years, Also lost more than billion dollars investment. By not building Khudoni HPP in the 2000-2017 we have lost 18% increased production of electricity.

At the end of the thesis there is a conclusion, where one of the factors in the development of energy in Georgia is the energy education of the public. Listed on the current events in the field, the main problems identified between the energy and the public and the ways of their solution.

Dissertation work has not yet been observed in this regard in Georgia. It is desirable to pay attention to the importance of public education in the energy sector and the appearance of people who will examine this topic further.

შინაარსი

შესავალი	14
თავი I. ენერგეტიკისა და საზოგადოების ურთიერთობის თეორიული საფუძვლები	20
1.1. ენერგეტიკაში საზოგადოებრივი განათლების აუცილებლობა და ამოცანები	20
1.2. საზოგადოებრივი განათლების ამაღლებაში დარგის რეგულირების როლი და პრინციპები	28
1.3. საზოგადოებრივი განათლების შეფასება მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.....	35
თავი II. ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	51
2.1. ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემების კვლევა.....	51
2.1.1. ენერგეტიკული ტარიფები და სოციოლოგიური კვლევის შედეგები	51
2.1.2. საქართველოში და უცხოეთში არსებული ტარიფების შედარებითი ანალიზი	66
2.2. საზოგადოება და ენერგოეფექტიანობა	72
2.3. საზოგადოება და ენერგოუსაფრთხოება	76
თავი III. ენერგეტიკაში საზოგადოების განათლების ამაღლების ძირითადი მიმართულებები	81
3.1. სტრატეგიული ამოცანები	81
3.2. სოციალური მედიის გამოყენება ენერგეტიკაში	91
3.3. ხუდონი ჰესი და საზოგადოება.....	93
დასკვნა.....	98
გამოყენებული ლიტერატურა.....	102

ცხრილების ნუსხა

გვ.

- ცხრილი 1.1.** საქართველოში შემოდინებული და გატარებული ბუნებრივი გაზი (მლნ.მ³) (სემეკის წლიური ანგარიში 2015წ).....27
- ცხრილი 1.2.** ელ.ენერჯის საფეხურეობრივი ტარიფები 2017წ.....34
- ცხრილი 2.1.** გამოკითხული მომხმარებლების ბუნებრივი გაზის მოხმარების სტატისტიკა 2016-2017 წლის მონაცემებით.....53
- ცხრილი 2.2.** მომხმარებლების ბუნებრივ გაზში გადახდილი თანხები 2016-2017 წლებში.....54
- ცხრილი 2.3.** 2016 წელს რა თანხა გადაიხადეს მოხმარებულ ბუნებრივ გაზში და სულ რამდენი მ³ გაზი მოიხმარეს.....57
- ცხრილი 2.4.** 2017 წელს ყოველ თვე რა ფიქსირებული თანხა ექნებოდათ სახდელი მომხმარებლებს.....58
- ცხრილი 2.5.** (მომხმარებელი.1) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....59
- ცხრილი 2.6.** (მომხმარებელი.2) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....59
- ცხრილი 2.7.** (მომხმარებელი.3) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....60
- ცხრილი 2.8.** (მომხმარებელი.4) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....60

ცხრილი 2.9. (მომხმარებელი.5) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....61

ცხრილი 2.10. (მომხმარებელი.6) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....61

ცხრილი 2.11. (მომხმარებელი.7) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....62

ცხრილი 2.12. (მომხმარებელი.8) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....62

ცხრილი 2.13. (მომხმარებელი.9) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....63

ცხრილი 2.14. (მომხმარებელი.10) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.....63

ცხრილი 2.15. ბუნებრივი გაზის შეწყვეტის და აღდგენის დინამიკა თვეების მიხედვით 2017 წელს.....65

ცხრილი 2.16. „ერრას“ წევრი ზოგიერთი ქვეყნის ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფები დღგ-ის ჩათვლით, 2011 წლისათვის.....69

ცხრილი 2.17. „ერრას“ წევრი ზოგიერთი ქვეყნის ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები 2011 წლის ბოლოსათვის, დღგ-ის ჩათვლით.....70

ცხრილი 2.18. ევროპის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის, ელექტროენერჯის მოხმარების და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ელენერჯის სტატისტიკა. 2017წელი.....71

ცხრილი 2.19. ევროპის ქვეყნებში ელექტროენერჯის ფასები 2017 წელის პირველი კვარტალი. (სამომხმარებლო).....	72
ცხრილი 2.20. ენერგოეფექტიანი და არაენერგოეფექტიანი შენობების გაზის ხარჯები.....	74
ცხრილი 2.21. ბუნებრივი გაზის 2016 წლის წლიური და თვიური საშუალო მოხმარება ენერგოეფექტიან და არაენერგოეფექტიან შენობებში.....	75
ცხრილი 2.22. ბუნებრივი გაზის მოხმარებისას უსაფრთხოების წესების არ დაცვით გამოწვეული უბედურების სტატისტიკა.....	77
ცხრილი 3.1 საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურები.....	86
ცხრილი 3.2. ენერგოკომპანიის facebook გვერდის მომხმარებელთა რაოდენობა.....	92
ცხრილი 3.3. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერჯის წარმოების შედარება 2000-2017 წლებში.....	94
ცხრილი 3.4. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერჯის წარმოების და მოხმარების შედარება 2000-2017 წლებში.....	95

ნახაზების ნუსხა

გვ.

ნახაზი 1.1. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება მოხმარების სტატისტიკა 2007-2017 წლებში	22
ნახაზი 1.2. ჰიდროელექტროსადგურების, თბოელექტროსადგურების და ქარისელექტროსადგურების წარმოებული ელექტროენერჯია 2007-2017 წლებში.....	23
ნახაზი 1.3. ჰესების გამომუშავების სტატისტიკა 2007-2017 წლებში.....	23
ნახაზი 1.4. ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკა 2007-2017 წლებში.....	24
ნახაზი 1.5. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების რაოდენობის დინამიკა, 2005-2015 წწ.....	32
ნახაზი 3.1. ენერჯეტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები.....	89
ნახაზი 3.2. ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნები.....	90

მადლიერება

მინდა მადლობა გადაუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისებურად დამეხმარა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში, ასევე მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტს, სადაც 9 წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე.

და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს პროფესორ დემურ ჩომახიძეს, რომელსაც დიდი წვლილი აქვს, ჩემს აკადემიურ განათლების მიღებაში.

შესავალი

საქართველოში და ზოგადად ნებისმიერ ქვეყანაში, ენერგეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ენერგეტიკაზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და წინსვლა. XXI საუკუნეს, რომელიც ინოვაციის და ტექნიკის საუკუნეა, ენერგია ისე სჭირდება, როგორც ადამიანს საჭმელი საარსებოდ, მცენარეებს მიწა, მზე და წყალი. ენერჯის გარეშე დღევანდელი მსოფლიო წარმოუდგენელია. ქვეყანა თუ ენერგეტიკულად ძლიერია, ეს პირდაპირ ნიშნავს ეკონომიკურ სიძლიერეს. ენერგეტიკული სიძლიერე ნიშნავს, ქვეყანაში მაქსიმალურად ათვისებულია ენერგეტიკული რესურსები, გენერაცია ან მოპოვება აკმაყოფილებს მოხმარებას ქვეყანაში და ასევე არის საშუალება, ჭარბი ენერჯის იმპორტზე გატანის. მაგალითად: ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, აზერბაიჯანს და რუსეთს ჭარბად აქვთ ბუნებრივი გაზი, ანუ მოიპოვებენ იმდენს რომ დააკმაყოფილონ თავიანთი ქვეყნის მოთხოვნა, და ამავდროულად გაიტანონ იმპორტზე და მიყიდონ სხვა ქვეყანას. ასევეა აზიის ბევრ ქვეყანაში მოიპოვებენ ნავთობს, ყიდიან და აძლიერებენ თავიანთ ქვეყნებს. საქართველოს შემთხვევაში ნავთობი და ბუნებრივი გაზის დიდი საბადოები ამ ეტაპზე არ არის აღმოჩენილი, თუმცა მდიდრები ვართ ჰიდრორესურსით, შეგვიძლია ეს რესურსი გამოვიყენოთ, ვაწარმოოთ ელექტროენერგია ჭარბად, გავყიდოთ და ქვეყანას მივცეთ დამატებითი ფინანსური შემოსავალი.

სადისერტაციო თემა ეხება ენერგეტიკაში საზოგადოების განათლების მნიშვნელობას, სანამ თემის აკტუალობაზე გადავიდოდეთ განვიხილოთ რა არის ენერგეტიკის განვითარებისთვის აუცილებელი პირობები:

- გამოვიკვლიოთ ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული რესურსები;
- დავსახოთ პრიორიტეტები რომელი ენერგეტიკული რესურსების ათვისება უფრო ხელსაყრელია ქვეყნისთვის;

- გაკეთდეს პროგნოზი ენერჯის მოხმარების, და ამის საფუძველზე განისაზღვროს დრო რესურსების ათვისებისთვის, რათა არ მოხდეს ენერჯის დეფიციტი;
- შეიქმნას ინვესტორებისთვის ხელსაყრელი გარემო;
- გამოკვლეული იქნეს ელექტროგადამცემი ხაზების, წყლის და ბუნებრივი გაზის მაგისტრალური მილების, გამტარუნარიანობა, ხარისხი, ექსპლუატაციის ვადა, და ხარვეზების შემთხვევაში დაისახოს გეგმა მათი გამოსწორებისა;
- ენერჯის განაწილების ლიცენზიატებს მოეთხოვოთ კომპანიის განვითარების გეგმა;
- სამართლიანად დადგინდეს ენერჯეტიკულ პროდუქტებზე ტარიფები;
- სამართლიანად იყოს დაცული როგორც მომხმარებლების ისე ენერჯო კომპანიების უფლებები;
- მომხმარებლებმა და ენერჯოკომპანიებმა უნდა იზრუნონ ენერჯო ეფექტურობაზე და ეკოლოგიაზე და ა.შ.

ენერჯეტიკის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების ამ მცირე ჩამონათვალს, ვფიქრობთ უნდა დაემატოს ამ სადისერტაციო თემის მთავარი აზრი „ენერჯეტიკის განვითარებაში საზოგადოების განათლების მნიშვნელობა“ მიგვაჩნია, რომ ენერჯეტიკის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების განათლება და ინფორმირებულობა დარგში მიმდინარე პროცესებში.

ნაშრომში განხილულია ენერჯეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობა, პრობლემები, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ენერჯეტიკას ხალხის გაუნათლებლობამ, რა როლს თამაშობს საზოგადოება ენერჯეტიკის განვითარებაში, წინა წლებში რა პრობლემები შეუქმნა მან ხალხს და რა პრობლემა შეიძლება შექმნან სამომავლოდ.

საზოგადოებას და ენერჯეტიკას შორის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ენერჯეტიკული ტარიფები, თემაში განხილულია, ტარიფების

რეგულირების აუცილებლობა ენერგეტიკაში და მათი მნიშვნელობა ენერგეტიკისა და ქვეყნის განვითარებისათვის.

ზოგადად რატომ უნდა მიექცეს ყურადღება საზოგადოების ენერგეტიკულ განათლებას? როდესაც ენერგეტიკაში დაგეგმილია რაიმე მასშტაბური პროექტის განხორციელება, რაც ქვეყნის ენერგეტიკას განავითარებს, მაგალითად: შენდება დიდი ზომის ჰესი, რომლის წლიური გამომუშავებით ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ელექტროენერჯის შიდა მოხმარებას, და ასევე დამატებით შესაძლოა ექსპორტზეც კი გაიტანოს, ამ დროს შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკურმა პარტიებმა ამ თემით დაიწყონ მანიპულირება და საზოგადოებას მოუწოდონ საპროტესტო გამოსვლებისკენ, რათა არ მოხდეს ჰესის აშენება, რადგან ეს გამოიწვევს დიდ ეკოლოგიურ კატასტროფას. საქართველოში უკვე მოხდა ესეთი რამ „ხუდონი ჰესის“ მაგალითზე, ელექტროსადგურების აშენებით ქვეყანა გახდება ელექტროენერჯით დამოუკიდებელი, ანუ თავის მოხმარებას, თავისივე წარმოებით დააკმაყოფილებს და შესაძლოა ზამთარშიც კი არ დასჭირდეს, იმპორტული ელექტროენერჯის შესყიდვა. საზოგადოებამდე, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიტანა აუცილებელია, თუმცა ხალხი შეიძლება იყოს ინფორმირებული რაიმე საკითხის მიმართ, მაგრამ განათლების არქონის გამო, ვერ ახერხებდნენ ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

დისერტაციაში, ენერგეტიკაში საზოგადოების განათლება არ ნიშნავს ხალხის ფუნდამენტურ ცოდნას ენერგეტიკის შესახებ. ასეთი ცნობილი ფრაზა ტრიალებს ხალხში „ ყველამ იცის როგორ მოიხმაროს google , მაგრამ არაა აუცილებელი მისი ალგორითმის შესახებ ცოდნა“ იგივეა ენერგეტიკაში, ხალხს აინტერესებს რამდენად უსაფრთხოდ და უწყვეტ რეჟიმში იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და წყლის მიწოდება, და არა როგორ ხდება მათი გამომუშავება. არ არის აუცილებელი ხალხმა იცოდეს ომის კანონი, მაგრამ ვფიქრობ აუცილებელია ჰქონდეთ ინფორმაცია მათი ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების შესახებ.

სამუშაოს აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საზოგადოების განათლების და სწორი ინფორმაციის არქონის გამო, ხშირად ხდება ენერგეტიკული მოვლენებით მანიპულირება. ასევე საზოგადოების გაუნათლებლობამ და არაინფორმირებულობამ დაგვაკარგვინა მილიარდობით ინვესტიციები. ენერგეტიკაში ნაკლებად ეთმობა ყურადღება ხალხის განათლებას, რაც ხშირად მიზეზია რაიმე არაოპტიმალური გადაწყვეტილებისა და ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების ხელშეშლისა. იმის გამო, რომ ხალხის გადაწყვეტილებას შეუძლია ყველა ორგანოს გადაწყვეტილების გადაფარვა, ყოველთვის აქტუალური იქნება მათი ცოდნის კვლევა და მათი ამალღების მიმართულებით მუშაობა.

პრობლემის მეცნიერული დამუშავება და შესწავლის დონე. საქართველოს ენერგეტიკაში საზოგადოების განათლების მნიშვნელობაზე და მასში არსებულ პრობლემებზე ბევრი არ დაწერილა, მათ შორისაა დ. ჩომახიძის, ე. ერისთავის, პ.ცინცაძის, გ.თავაძის ნაშრომები, ამ თავალსაზრისით სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს პირობებში სიახლეს წარმოადგენს.

სამუშაოს მიზანია საქართველოს ენერგეტიკის განვითარებისთვის ერთ-ერთ კრიტერიუმად იქცეს საზოგადოების განათლების შესწავლა და მათზე სწორი ინფორმაციის მიწოდების, საშუალებების განსაზღვრა. მიზნის მისაღწევად დაისახა ამოცანები, რომლებიც განსაზღვრავენ სადისერტაციო სამუშაოს სტრუქტურას:

- ენერგეტიკის და საზოგადოების ურთიერთობების შესწავლა ;
- საზოგადოების განათლების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება;
- ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემების შესწავლა;
- ბუნებრივი გაზის გადახდის სისტემის განსხვავებული მეთოდის შეთავაზება საზოგადოებისთვის;

- ენერგეტიკული რესურსების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის;
- ენერგოეფექტიანობის პოპულარიზაცია და მისი მნიშვნელობის გაცნობა საზოგადოებისთვის;
- ობიექტური მედიის აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა ენერგეტიკისთვის;
- საზოგადოების დიდ მასაზე სწორი ინფორმაციის მიწოდების გზები;
- ენერჯის უსაფრთხოდ მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა საზოგადოებისთვის;
- საქართველოს ენერგეტიკის განვითარების დაგეგმვის დროს, აუცილებლად გათვალისწინებული იქნეს, ერთ-ერთ კრიტერიუმად, საზოგადოების განათლების, და მათზე სწორი ინფორმაციის დროულად მიწოდების ფაქტორი.

კვლევის ობიექტი.

- საქართველოს ენერგეტიკული რესურსები
- ენერგეტიკული პროდუქტის წარმოება მოხმარება
- ენერგეტიკული პროდუქტის ექსპორტ- იმპორტი
- ენერგეტიკაში მოქმედი ტარიფები
- ენერგეტიკაში, ბოლო წლებში მომხდარი მოვლენები
- საზოგადოება

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თვითონ თემაა, რადგან ენერგეტიკაში ამ თემის შესახებ ჯერ არ დაწერილა დისერტაცია, შეიძლება ითქვას, რომ ექსკლუზივია. ასევე მეცნიერული სიახლეა, ენერგეტიკაში ყურადღება მიექცეს, თუ რა როლს თამაშობს საზოგადოების აზრი ენერგეტიკის განვითარებაში და რამდენად მნიშვნელოვანია ის. საზოგადოების გაუნათლებლობა და არაინფორმირებულობა, ენერგეტიკის განვითარებას ხელს უშლიდა წარსულშიც, უშლის ახლაც და შეუშლის მომავალშიც,

ამიტომ აუცილებელია, განისაზღვროს ხელისშემშლის რა მაშტაბებთან გვაქვს საქმე და დაიწყოს ფიქრი, მისი გამოსწორების გზების მოძებნაზე.

მეცნიერებაში აქამდე არსებული აზრისგან განსხვავებით, დისერტაციაში ენერგეტიკის განვითარების კრიტერიუმებს შორის დასახელებულია, საზოგადოების განათლება და ინფორმირება ამ დარგის შესახებ.

დისერტაციაში გაანგარიშებულია, საქართველოში ენერგეტიკასა და საზოგადოების განათლებას შორის, დაუბალანსებლობა და მისი უარყოფითი შედეგები.

ჩამოყალიბებულია წინადადებები ენერგეტიკასა და საზოგადოების განათლების განვითარების ჰარმონიზაციისათვის.

საზოგადოებისთვის შემოთავაზებულია, ენერგეტიკული რესურსების მოხმარების საფასურის გადახდის ახალი მოდელი.

თავი I. ენერგეტიკისა და საზოგადოების ურთიერთობის თეორიული საფუძვლები

1.1. ენერგეტიკაში საზოგადოებრივი განათლების აუცილებლობა და ამოცანები

ზოგადად ნებისმიერი ქვეყნისთვის საზოგადოების განათლება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ იქნება ძლიერი. საქართველოს შემთხვევაში თემა ეხება ქართული საზოგადოების ენერგეტიკული განათლების აუცილებლობას. რა თქმა უნდა ქვეყანაში არაა აუცილებელი ყველა ერთი პროფესიის იყოს და ისიც ენერგეტიკოსი, თუმცა აუცილებლად მიმაჩნია, რომ მოსახლეობის 70% მაინც ღებულობდეს ინფორმაციას ენერგეტიკის შესახებ, აქ კი დიდ როლს თამაშობს მედია. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ მედია, დარგში მომხდარი მოვლენების გაშუქების დროს იყოს ობიექტური, რათა საზოგადოება არ შევიდეს შეცდომაში და მათ აზრმა საფრთხე არ შეუქმნას ქვეყნის ენერგეტიკას.

ენერგეტიკის განვითარების პრობლემის მოგვარებაში საზოგადოების მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია. კერძოდ, საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა განიხილება როგორც საზოგადოების მიერ მთავრობის გადაწყვეტილების მხარდამჭერი აუცილებელი პირობა. საზოგადოების ყოველმხრივი მონაწილეობა პროცესს აძლევს ბევრ ფასეულ უპირატესობას და, საბოლოო ჯამში გამოიხატება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებაში.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკას განსაზღვრავს მთავრობა ენერგეტიკის სამინისტროს სახით. ამასთან განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა მარეგულირებელი ორგანოებია, რომელთა გადაწყვეტილებებს, სამთავრობო გადაწყვეტილებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკისა და საზოგადოების ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ამ

მხრივ ერთ-ერთი მთავარია ტარიფის საკითხი, აგრეთვე დარგის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების მიღება, რომლებიც მარეგულირებელ ორგანოთა პრეროგატივაა.“ [დ. ჩომახიძე, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2011წ. გვ.27 ელექტრონული ვერსია]

ენერგეტიკული პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ პრობლემას წარადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ზოგჯერ თავის გადაწყვეტილებებზე განმარტებებს საზოგადოებას აწვდის მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ეს კი თითქმის უაზროს ხდის ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად საჭიროა წარმოდგენილი იქნას საზოგადოების საგანმანათლებლო პროცესის თანმიმდევრული განვითარების მიზანშეწონილობა იდეის წარმოშობიდან მის განხორციელებამდე. ამით საზოგადოება კარგად იქნება ინფორმირებული ამათუ იმ ღონისძიებების ავ-კარგიანობაში და შესაბამისად სახელმწიფოს მნიშვნელოვნად გაუადვილდება სწორი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება.[დ. ჩომახიძე, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2011წ. გვ.89 ელექტრონული ვერსია]

შეიძლება მოვიტანოთ იმ საკითხთა მოკლე ჩამონათვალი, რომელსაც სასურველია საზოგადოება ფლობდეს:

- ენერგეტიკის მნიშვნელობა;
- ენერგეტიკული სისტემა და მისი ინდიკატორები;
- ენერგეტიკული რესურსები და მათი ათვისების დონე;
- სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკაში;
- ენერგეტიკის რეგულირება;
- ენერგეტიკული საწარმოები და მათი რეგიონული განლაგება;
- ტარიფების ეკონომიკა;
- მიმდინარე და განხორციელებული ინვესტიციები;
- ფინანსები ენერგეტიკაში;
- ენერგეტიკული წარმოების მართვა;
- ენერგეტიკა და გარემოს დაცვა;


- ტენდენციები მსოფლიო ენერგეტიკაში;
- ქვეყნის ენერგო და ელექტრო ბალანსები;
- დარგში მოქმედი კანონები და ნორმატიული დოკუმენტები;
- ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე;
- ენერგოეფექტიანობა;
- ენერგომენეჯმენტი და ა.შ.

[დ. ჩომახიძე, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2011წ. გვ.89
ელექტრონული ვერსია]


ელექტროენერგეტიკული სექტორი - ელექტროენერგეტიკის სექტორში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- ელექტროენერჯის წარმოება
- ელექტროენერჯის გადაცემა
- ელექტროენერჯის დისპეჩერიზაცია
- ელექტროენერჯის განაწილება

2017 წელს ელექტროენერგეტიკის სექტორსი არსებული მონაცემები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ნახაზებში.




ნახაზი 1.1. საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება მოხმარების სტატისტიკა 2007-2017 წლებში . სემეკის 2017 წლის წლიური ანგარიში



ნახაზი 1.2. ჰიდროელექტროსადგურების, თბოელექტროსადგურების და ქარის ელექტროსადგურების წარმოებული ელექტროენერჯია 2007-2017 წლებში. (სემეკის წლიური ანგარიში 2017წ)


ნახაზზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ელექტროენერჯიის გენერაციაში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ჰიდროელექტროსადგურებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰესებშიც არის განსხვავება, არის დიდი საშუალო და მცირე ჰესები.



ნახაზი 1.3. ჰესების გამომუშავების სტატისტიკა 2007-2017 წლებში. (სემეკის წლიური ანგარიში 2017წ)

დღეს-დღეობით საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება ზამთარში უფრო მეტია, ვიდრე ზაფხულში. შესაბამისად, ელექტროენერჯის მოხმარების კუთხით საქართველო ზამთრის პიკის ქვეყანაა. გამომდინარე აქედან ქვეყანა პიკის სეზონზე შიდა წარმოებიდან ელექტროენერჯის იღებს, თბოელექტროსადგურებიდან და მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურებიდან. შიდა წარმოებიდან საკმარისი ელექტროენერჯის ვერ მიღების შემთხვევაში ქვეყანა იძულებული ხდება მოიხმაროს იმპორტული ელექტროენერჯია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ელექტროენერჯეტიკას კიდევ სჭირდება განვითარება და წინსვლა, ამისათვის კი საჭიროა, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მთავრობის და ენერჯო კომპანიების გონივრული გადაწყვეტილებები და საზოგადოების მხარდაჭერა.



ნახაზი 1.4. ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკა 2007-2017 წლებში. (სემეკის წლიური ანგარიში 2017წ)

ასეთი განვითარება საკმარისია თუ არა საზოგადოებისთვის? ზემოთ ნაჩვენები ნახაზებიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს

ელექტროენერგეტიკა ჯერ-ჯერობით არასტაბილურია და რომ არა იმპორტული ელექტროენერგია, წარმოებით შიდა მოხმარების დაკმაყოფილებას ამ ეტაპზე ვერ შევძლებთ.

საზოგადოების განათლება ენერგეტიკის განვითარებაში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ერთ-ერთი მაგალითის მოყვანა შესაძლებელი ბოლო წლებიდან, ამ აზრის გასამყარებლად: ხუდონი ჰესის აშენების იდეა 20-საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა,სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყო, თუმცა ეროვნული მოძრაობის, სტუდენტების პროტესტის და ადგილობრივ მცხოვრებთა ძალისხმევით პროექტი შეჩერდა. 2000-იან წლებში პროექტი ისევ აქტუალური გახდა და გამოჩნდა ინვესტორი შპს „ტრანს-ელექტრიკა“, რომელთანაც საქართველოს მთავრობამ 2007 წელს გააფორმა საწყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი. 2011 წელს შპს „ტრანს-ელექტრიკმა“ მშენებლობის უფლება მოიპოვა, მაგრამ საზოგადოების აქტიურობის გამო მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა. ენერგეტიკოსებისა და ეკონომისტების უმრავლესობა ფიქრობს რომ „ხუდონი ჰესის“ აშენება აუცილებელია, ასევე ქვეყნის ყველა მთავრობა დადებითად ფიქრობდა ამ თემაზე. ძალიან მარტივად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ საზოგადოებრივ აზრს დიდი ძალა აქვს.

ენერგეტიკას ქვეყნის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ ქვეყნის უსაფრთხოება პირდაპირ დაკავშირებულია ენერგეტიკასთან. დაუშვებელია სტრატეგიული ენერგო ობიექტების და ენერგო გამანაწილებლების აქციების უმრავლესობის მიყიდვა, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებზე, ამით ქვეყანა კარგავს სადავეებს იმ დარგში, რასაც ჰქვია ქვეყნის უსაფრთხოება.

ხალხის ენერგეტიკული განათლება, მხოლოდ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასათანხმებლად არ არის საჭირო, მათ უნდა შეეძლოთ ჯანსაღი კრიტიკა, რაც გამყარებული უნდა იყოს ფაქტებით და ცოდნით. ენერგეტიკა არაა ის დარგი, რომ ერთი და ორი ადამიანი იღებდეს გადაწყვეტილებას, აუცილებელია საზოგადოების აზრის

გათვალისწინება, თუმცა ეს აზრი უნდა იყოს ადეკვატური, რისთვისაც ცოდნა და ინფორმაციაა საჭირო.

მედია საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2017 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „გაზპრომთან“: რუსეთის მიერ სომხეთზე მიწოდებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ანაზღაურება მოხდეს არა ნედლეულით არამედ ფულადი ანგარიშწორებით.

ამას მოჰყვა კრიტიკა ექსპერტების, ოპოზიციის და საზოგადოების მხრიდან, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან ნედლეულით მიღებული ენერგია უფრო ეფექტიანია ვიდრე ფულადი ანგარიშწორებით. ბოლო 11 წლის მანძილზე 1866,4 მლნ.მ³ ბუნებრივი გაზი მიიღო საქართველომ ტრანზიტის სანაცვლოდ რაც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბუნებრივი გაზის წლიური მოხმარების ტოლფასია თითქმის, (ცხრილი 1.1). თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი. სრულიად შესაძლებელია „გაზპრომს“ მოენახა ალტერნატიული გზა, სომხეთზე ბუნებრივი გაზის მიწოდებისა, რაც საქართველოს არამცთუ ნედლეულის არამედ ფულის გარეშეც დატოვებდა და ესეც კრიტიკის საგანი გახდებოდა.

აუცილებელია სახელმწიფომ გაასაჯაროოს ხელშეკრულების დადების მიზეზი, რამდენადაც შესაძლებელია, რათა ეს თემა არ გახდეს მანიპულაციის საგანი. გამომდინარე ენერგეტიკის სიძლიერიდან და მისი მნიშვნელობიდან საზოგადოებისთვის, მისით მანიპულირებას ბევრი ცდილობს. მაგალითად: ერთი და იგივე პარტიამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს თქვას, რომ ტარიფის დაკლება შეუძლებელია ენერგეტიკულ პროდუქციაზე, ხოლო იმავე პარტიამ ხელისუფლებაში ადარყოფნის დროს თქვას რომ ეს თურმე შესაძლებელი ყოფილა, ან თქვას რომ რომელიმე ჰიდროელექტროსადგურის აშენება აუცილებელია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის, ხოლო შემდეგ განაცხადოს რომ ეს ზიანს აყენებს გარემოს და ამის აშენება დაუშვებელია.

ცხრილი 1.1. საქართველოში შემოდინებული და გატარებული ბუნებრივი გაზი (მლნ.მ³) (სემეკის წლიური ანგარიში 2015წ)

წლები	მიწოდება საქართველოში	ტრანზიტი სომხეთში	გატარება საქართველოში
2005	1440	1685	3125
2006	1881	1716	3597
2007	1684	2054	3738
2008	1471	2254	3717
2009	1200	1600	2800
2010	1121	1440	2561
2011	1783	1609	3392
2012	1969	1967	3936
2013	1912	1956	3868
2014	2177	2062	4239
2015	2385	1921	4306

საქართველოს ენერგეტიკაში 1997 წელს მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ჩამოყალიბდა კომისია რომელმაც დაიწყო ელექტროენერჯის რეგულირება. 1999 წლიდან მას ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირების ფუნქციაც დაემატა ხოლო 2007 წელს, კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად , იგი წყალმომარაგების რეგულირების ფუნქციასაც ასრულებს. ამ წლების განმავლობაში მივიღეთ, ენერგეტიკისთვის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ეწოდება „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემეკი) და რომელიც აბალანსებს ურთიერთობას ენერგეტიკულ ორგანიზაციებსა და მომხმარებლებს შორის. შესაბამისად 1997 წლიდან დღემდე, არცერთ მთავრობის წარმომადგენელს არ შეეძლო ენერგეტიკულ პროდუქციაზე ტარიფის დადგენა, მიუხედავად ამისა ყოველთვისაა დაპირებები, ტარიფების შემცირებაზე.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკაში ზედმეტი ხარჯია და რომ ის არაეფექტიანია. ეს

მიდგომა არამართებულია, მარეგულირებელ ორგანოს (სემეკი) მისი დაფუძნებიდან დღემდე საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. თუ რატომაც მარეგულირებელი ორგანო (სემეკი) აუცილებელი ამის დასამტკიცებლად უნდა განვიხილოთ ბუნებრივი, მონოპოლიის ცნება.

1.2. საზოგადოებრივი განათლების ამალგებაში დარგის რეგულირების როლი და პრინციპები

ენერგეტიკა მონოპოლიის, კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ზოგადად, ცნება „მონოპოლია“ განიმარტება როგორც სიტუაცია ბაზარზე, როცა ერთი კომპანია (ფირმა, მწარმოებელი) ფლობს ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე არსებულ, ყველა ან თითქმის ყველა სახის პროდუქტს ან მომსახურეობას. როგორც წესი ასეთი სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონკურენტებისათვის ბაზრის მოცემულ სეგმენტზე შესასვლელად არსებობს ხელოვნური ან ბუნებრივი ბარიერები. ეს სხვა ფირმებს ან კომპანიებს ხელს უშლის განახორციელონ ოპერაციები და იგივე ან მსგავსი სახის მომსახურეობა შესთავაზონ იმავე სეგმენტის მომხმარებლებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მწარმოებლის („მონოპოლისტის“) მიერ შეთავაზებული პროდუქცია ან მომსახურეობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე პროდუქციის ან მომსახურეობის მოცულობა, რომელიც მაქსიმალურად გააუმჯობესებდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას. მონოპოლიურ სიტუაციაში შეთავაზებული პროდუქციის ან მომსახურეობის მოცულობა არის აღნიშნული პროდუქციის მოთხოვნაზე ბევრად ნაკლები. ეს, შესაბამისად, იწვევს მასზე მოთხოვნის ზრდას, ხელს უწყობს მონოპოლისტ კომპანიას დააწესოს თვითღირებულებაზე ბევრად მაღალი ფასები და მიიღოს იმაზე ბევრად დიდი მოგება, რაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტული ბაზრის არსებობისას.

მონოპოლიურად მაღალი ფასების არსებობის პირობებში, მომხმარებლის შესაძლებლობა, შეიძინოს სასურველი პროდუქტი ან მომსახურება, მცირდება, შესაბამისად, ნაკლები პროდუქცია ან მომსახურება იყიდება, ნაკლები იწარმოება. ყველაფერი ეს კი, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება საზოგადოების ცხოვრების დონეზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, სახელმწიფო ცდილობს დააწესოს სხვადასხვა შეზღუდვები ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე მონოპოლიური სიტუაციის დროს უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად და სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით შექმნას კონკურენტული გარემო, ანუ, მოხსნას ის ბარიერები, რაც ხელს შეუშლის სხვა კონკურენტ ფირმებსა და კომპანიებს, დაუბრკოლებლად შევიდნენ ბაზრის იმავე სეგმენტზე, ანუ სიტუაცია არეგულიროს. “[გ.თავაძე, ი.ქავთარაძე, დ.ჩომახიძე, დ.მენაბდე. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი: შპს „დანა“, 2006, გვ9-10]

ეკონომიკაში არსებობს სიტუაციები, როდესაც საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის (მომხმარებლებისათვის) კონკურენტულ გარემოზე მეტად უფრო ეფექტიანია ისეთი სიტუაცია, სადაც გარკვეული სახის პროდუქციის ან მომსახურების მიმწოდებელ ბაზარზე არის მონოპოლისტი და არა რამდენიმე კონკურენტი ფირმა ან კომპანია. ბაზრის მოცემულ სეგმენტზე მონოპოლისტის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია გარკვეული ტიპის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, მომხმარებლისთვის მიზანშეწონილი (ხელმისაწვდომი) ფასების შენარჩუნების აუცილებლობით. ბაზარზე შექმნილ ასეთ მდგომარეობას „ბუნებრივ მონოპოლიას“ უწოდებენ.

კლასიკური ეკონომიკური გაგებით ბუნებრივი მონოპოლიის ცნება განისაზღვრება როგორც მონოპოლიის სპეციფიკური ტიპი, როდესაც მოცემული სფეროს მონოპოლისტს მით უფრო შეამციროს პროდუქციის (მომსახურების) ფასი, რაც უფრო მეტი პროდუქციის (ან მომსახურების) წარმოებისა და მიწოდების საშუალება აქვს მას. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვით, ბუნებრივი მონოპოლია არის სიტუაცია, როდესაც ერთი ფირმა მუდმივად მიისწრაფვის გახდეს ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე პროდუქციის ერთადერთი მიმწოდებელი, იმ მიზეზით, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების „ბუნება“ განაპირობებს ერთი მწარმოებლის ან მიმწოდებლის მეტ ეფექტიანობას ბაზარზე, ვიდრე მსგავსი სახის პროდუქციისა და მომსახურების რამოდენიმე მიმწოდებლისა. ანუ, როდესაც ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში ორი ან სამი კონკურენტი ფირმა ცდილობს ბაზრის ბუნებრივ მონოპოლიურ სეგმენტზე შესვლას, ბაზარზე აუცილებლად ხდება ბუნებრივი გადარჩევა და მოცემული სახის პროდუქციის მიმწოდებელთაგან გადარჩევა მხოლოდ ერთადერთი.

მაგალითად, რა თქმა უნდა არაეფექტიანი იქნებოდა, თუკი ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ფირმა ააშენებდა ელექტროენერჯის გამანაწილებელ რამოდენიმე ქსელს, რომლებიც ერთსა და იმავე ტერიტორიას ფარავენ და ერთი და იმავე მომხმარებლამდე მიდიან, ან გაიყვანონ გაზის რამდენიმე მილსადენი, რომელიც ერთი და იმავე მიმართულებით მიდის. რა თქმა უნდა უმჯობესია განსაზღვრულ ტერიტორიაზე აშენდეს ელექტროენერჯის ერთი გამანაწილებელი ქსელი ან გაყვანილ იქნეს გაზის ერთი მილსადენი (საჭიროების შემთხვევაში უფრო დიდი დიამეტრის) და მას ოპერირება გაუწიოს ერთმა ფირმამ.


როგორც მოყვანილი მაგალითიდანაც ჩანს, თეორიულად ბუნებრივ მონოპოლიად შეიძლება განვიხილოთ ენერგეტიკა, წყლის განაწილება, ტელეკომუნიკაციების სფერო, რკინიგზა და სხვა. [გ.თავაძე, ი.ქავთარაძე, დ.ჩომახიძე, დ.მენაბდე. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი: შპს „დანი“, 2006, გვ.10-11]

რეგულირება შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან „ზეწოლის“ ნებისმიერი ფორმა, რომელიც მონოპოლიურ ბიზნესებს აიძულებს შეცვალონ თავიანთი ქმედება საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციის მიზნით. ამ გაგებით, ბუნებრივ მონოპოლიებში

კონკურენტული გარემოს შექმნაც რეგულირების ერთ-ერთი ფორმაა, რადგან სწორედ ხელოვნურად კონკურენტული გარემოს შექმნა და კონკურენციისგან წარმოშობილი ზეწოლა აიძულებს მონოპოლიურ ბიზნესებს მეტი იფიქრონ და იმოქმედონ საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ბუნებრივ მონოპოლიაში კონკურენტული გარემოს შექმნა რეგულირების მიზანი კი არაა, რეგულირების მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა.

კონკურენციის არასებობის ან შეუძლებლობის პირობებში სწორედ რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მონოპოლისტების მიერ გატარებული ფასების პოლიტიკა და დაწესებული ტარიფები იყოს საკმარისად დაბალი მომხმარებლებისათვის და სრულიად საკმარისი ძირითადი ფონდების კვლავწარმოებისათვის.[გ.თავაძე, ი.ქავთარაძე, დ.ჩომახიძე, დ.მენაბდე. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა.თბილისი: შპს „დანი“, 2006, გვ15]

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ბუნებრივ მონოპოლიას არეგულირებს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“ (სემიკი). ენერგეტიკული პროდუქციის მწარმოებელისა, გამანაწილებლისა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობას არეგულირებს სემიკი, რაც აუცილებელია ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებისთვის. მარეგულირებელი ორგანო გასცემს ლიცენზიებს ენერგეტიკულ საწარმოებზე. მაგალითად 2005-2015 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი აირის განაწილების ლიცენზიატების რიცხვი (იხ. ნახაზი 1.5.-ში).



ნახაზი 1.5. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების რაოდენობის დინამიკა, 2005-2015 წწ. (სემკვის წლიური ანგარიში 2015წ)

2005 წლის მონაცემებით საქართველოში ბუნებრივი გაზის განაწილების 54 ლიცენზიატი იყო, ხოლო 2015 წლის მონაცემებით 30 განაწილების ლიცენზიატი. 10 წლის განმავლობაში 24 ერთეული შემცირდა. ნახაზიდან შეიძლება ითქვას, რომ თუ განაწილების ლიცენზიატი ვერ შეძლებს ენერჯის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას და მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას, მარეგულირებელი ორგანო მას ლიცენზიას შეუწყვიტავს.

საქართველოს ენერგეტიკის ყველაზე ბნელი დრო 90-იანი წლებია, ამ დროს ხალხის აგრესია და უკმაყოფილება პიკს აღწევს, ამ დროს საქართველოს ხელისუფლება უშუქობის მიზეზად, ძირითად შემთხვევებში 9-ბლოკს (გარდაბნის თბოელექტროსადგური, დადგმული სიმძლავრე 300 მგვტ) ასახელებდა და ხალხიც ელექტროენერჯის გრაფიკს და მის ხარისხსაც ეგუებოდა. ფაქტიურად ხალხისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ტარიფი იქნებოდა, მთავარია ელექტროენერჯია ყოფილიყო.

2003-2004 წლებიდან შეიძლება ითქვას, რომ ხალხმა ამოისუნთქა და აღარ ჰქონდათ ელექტროენერჯის შეზღუდვის და ხარისხის პრობლემა. ჩემი აზრით, რეალურად ამ წლებიდან იწყება ენერგეტიკის განვითარება. დიდი როლი ითამაშა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, მან ენერგეტიკასა და

მომხმარებლებს შორის დაარეგულირა ურთიერთობა და შექმნა სამართლებლივი აქტები, რომლებსაც ორივე მხარე უნდა დაემორჩილოს, ამან გზა გაუხსნა ინვესტორებს თავისუფლად ჩაედოთ ფული ენერგეტიკაში. ამ ყველაფრის ფონზე, მომხმარებლები უკმაყოფილონი ხდებიან ენერგეტიკული ტარიფების მიმართ, რადგან 90-იან წლებისგან განსხვავებით, ენერგია არის საკმარისი, უბრალოდ ვეღარ იხდიან მისი მოხმარების საფასურს.

განვლილ პერიოდში საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფის მატება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდი იყო, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულირების გარეშე ეს ზრდა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. ეს განპირობებულია, პირველ რიგში, საქართველოში ელექტროენერჯის დიდი დეფიციტის არსებობით, აგრეთვე, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვით. ელექტროენერჯის დეფიციტის პირობებში, ელექტროენერჯის მიმწოდებელთა მოთხოვნილება მაღალ ტარიფზე გაცილებით დიდი იქნებოდა.[დ. ჩომახიძე, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2011წ. გვ.68 ელექტრონული ვერსია]

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,729,500 ადამიანს, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, დასახლებულ პუნქტებად რეგისტრირებულია 54 ქალაქი, სოფელი და დაბა ჯამურად (სულ – 3,706), მათ შორის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა შეადგენს 2,140,400 ადამიანს, ხოლო სოფლად – 1,589,100 ადამიანს. მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების ამ მაშტაბებში, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის მომარაგების აბონენტებთა მონაცემები შემდეგია:

- ✓ ელექტროენერჯის მომხმარებელია - 1,653,549 აბონენტი
- ✓ ბუნებრივი აირის მომხმარებელია - 970,101 აბონენტი

მიზანშეწონილი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში ენერგეტიკული პროდუქციის მომხმარებელთა 70-80% ერკვეოდეს დარგში მოქმედ კანონებში, რათა მათ შეეძლოთ თავიანთი ინტერესების და მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვა. მარტივად არის შესაძლებელი დარგში მოქმედი სამართლებლივი აქტების მოძიება, ენერგეტიკის სამინისტროს ან სემეკის ვებ გვერდებზე. მაგალითად ელექტროენერჯის სექტორში მოქმედებს, სემეკის მიერ დადგენილი სამართლებლივი აქტი „ ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, გაზის სექტორში „ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, წყალმომარაგების სექტორში „ სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები“. ამ წესებიდან ინფორმაციის მიღების შემდეგ, აბონენტებს უფრო გაუადვილებათ ენერგეტიკული პროდუქციის მოხმარება.

კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით 2012 წელს ამოქმედდა ელექტროენერჯიაზე საფეხურეობრივი ტარიფი. (იხ. ცხრილი.1.2.) ტარიფის ეს სისტემა შეღავათს მისცემს სოციალურად დაუცველ და ფინანსურად დაბალი ფენის წარმომადგენლებს

ცხრილი 1.2. ელ.ენერჯის საფეხურეობრივი ტარიფები 2017წ

მომსახურეობის საფეხური	ტარიფი
101 კვტსთ-ის ჩათვლით	14,5435 თეთრი/კვტსთ
101 კვტსთ-დან 301 კვტსთ ჩათვლით	18,5555 თეთრი/კვტსთ
301 კვტსთ-დან ზევით	23,0395 თეთრი/კვტსთ

ესეთი ტარიფები, რათქმუნდა კომპანიისთვის არახელსაყრელია, ამიტომ განაწილების ლიცენზიატმა შეიძლება შეეცადოს ამის თავიდან არიდებას გარკვეულ აბონენტებთან. რათქმუნდა გაჩნდება კითხვა, თუ როგორ? განაწილების ლიცენზიატი შეეცდება, 30 კალენდარული დღის ნაცვლად, მრიცხველზე ანათვალი აიღოს უფრო გვიან, რათა მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯი გადასცდეს 101 ან 301 კვტსთ და მომხმარებელს

დაერიცხოს მეტი გადასახადი. მეორე და მესამე საფეხურებს შორის თანხობრივი სხვაობა შეადგენს დაახლოებით 15-20 ლარს.

იმის გამო, რომ ამდაგვარი სიტუაციები არ იყოს ბევრი, საზოგადოება აუცილებლად ინფორმირებული უნდა იყოს, იმ დარგში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესახებ, რომლის მომხმარებელიც არის.

1.3. საზოგადოებრივი განათლების შეფასება მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ქვეყანაში მოქმედი ენერგეტიკული სუბიექტების მუდმივი და საქმიანი ურთიერთობა საზოგადოებასთან წარმატების აუცილებელი პირობაა. ეს პროცესი მნიშვნელოვნად სცილდება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს და გაცილებით გლობალურ მასშტაბებს იღებს, რაც გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვასაც მოითხოვს.

საზოგადოებას, ინდივიდუალურ პიროვნებებს ენერგეტიკისაგან სურთ მიიღონ ზუსტი პასუხები დარგში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად, ვიდრე ეს ხდება პრესითა და ტელევიზიით. მოქალაქეებს, სხვადასხვა დროს, უჩნდებათ ენერგეტიკასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო პრობლემები, რომელთა არსში გარკვევა და მოგვარება თავად უძნელდებათ. აღნიშნული პრობლემების უმეტესი ნაწილი ცალკეულ კომპანიებთან ურთიერთობაში იჩენს თავს. მოქალაქეებს ასეთი სადაო საკითხების გადაჭრაში ეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომლებიც საქართველოში მოქმედ ყველა ენერგეტიკულ სუბიექტებთან არსებობს, მათ შორის ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან. ეს სამსახური, როგორც თავად მარეგულირებელი კომისია, ისეთივე არაპოლიტიკურია და მისი მუშაობა ისევე გამჭვირვალეა. მისი ფუნქციები თავიდანვე ასე ჩამოყალიბდა:

- საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა სხვადასხვა საგანმანათლებლო, მოლაპარაკებითი და კულტურული სტრატეგიების საშუალებით.
- მომხმარებლის (მოსახლეობა და ორგანიზაციები) უფლებების დაცვა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებელს შორის სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში. ყოველი ასეთი კონკრეტული თუ საზოგადო შემთხვევის განხილვა, შესწავლა და გადაწყვეტა.
- კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების, აგრეთვე, კომისიის სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღება
- კომისიაში შემოსული იმ სადავო საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელიც მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის წარმოიშვება. ამის თაობაზე წინადადებების მომზადება და კომისიისთვის წარდგენა.
- სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისას, განსაკუთრებით, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების ცვლილებისას მომხმარებელთა ინტერესების ლობირება არსებული მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით.
- სათემო და პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების წინაშე მდგარი, ენერჯეტიკისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.
- მომხმარებლისათვის და შესაბამისად, მთელი მოსახლეობისათვის ენერჯეტიკის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ მართალი

ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

- საზოგადოებასა და ენერგეტიკის დარგში მოქმედი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შორის დიალოგების მოწყობა და ამით, არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარებაში წვლილის შეტანა.
- პრესის თუ სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, მათზე რეაგირება. ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, კომისიისა და დეპარტამენტის საქმიანობის გაშუქება პრესაში და ტელევიზიით.

ყველა ენერგეტიკულ ორგანიზაციაში არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თავის საქმიანობას მეტწილად რამდენიმე მიმართულებით წარმართავს:

1.მასმედიასთან თანამშრომლობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ურთიერთობა აქვს ყველა საინფორმაციო საშუალებასთან (პრესა, ტელევიზია, რადიო, სააგენტო). მასმედიასთან მუშაობის კუთხით ახორციელებს ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ყოველდღიურ მონიტორინგს, რადგან თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და შემდგომ, მედიის საშუალებით, შეჯერებული ინფორმაციის გავრცელება, საბოლოო ჯამში, საუკეთესო საშუალებაა ფართო საზოგადოების სრულად ინფორმირებისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობა, ძირითადად რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს:

ანალიზი – რაში მდგომარეობს პრობლემა ანუ რა არის პრობლემის არსი?

დაგეგმვა – რა უნდა გაკეთდეს?

კომუნიკაცია – როგორ უნდა გავაგებინოთ ეს საზოგადოებას?

შედეგების შეფასება– მივიდა თუ არა ინფორმაცია აუდიტორიამდე და მოახდინა თუ არა საჭირო ეფექტი?

ყოველდღიურად მზადდება პრესრელიზი და ვრცელდება ინფორმაცია უშუალოდ დარგში მიმდინარე პროცესების შესახებ. ყოველწკვირეულად მზადდება საინფორმაციო ბიულეტენი მასმედიისთვის.

მაგ: თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ სემეკში ტარდება საჯარო სხდომა, რომლის საინფორმაციო უზრუნველყოფას, ჟურნალისტების მოწვევას და სემეკის ვებ-გვერდზე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსებას დეპარტამენტი ახორციელებს სხდომის დამთავრებისთანავე. დეპარტამენტი ამზადებს სპეციალურ პრესრელიზს, ათვებს ვებგვერდზე და ავრცელებს საინფორმაციო საშუალებებში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, აუცილებლობიდან გამომდინარე, ატარებს პრესკონფერენციებს დღიდან დაარსებისა, მაგ.: 2003 წლის სამი თვის მანძილზე ჩატარდა 5 პრესკონფერენცია და არაერთი ინდივიდუალური და კოლექტიური შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. პრესკონფერენციები და შეხვედრები შეეხო ელექტროენერჯის დიფერენცირებული ტარიფის პოპულარიზაციას, ზამთრის სეზონში ელექტროენერჯითა და გაზით დედაქალაქის მომარაგების გარანტიებს, „თელასსა„ და მომხმარებელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებს, დიფერენცირებული ტარიფის ამოქმედების გადავადებასა და გამანაწილებელ კომპანიებში ამასთან დაკავშირებულ სირთულეებს, თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიისათვის განაწილების ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას, თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის აბონენტთათვის დროებით გადახდის ფიქსირებული წესის შემოღებას და მოსახლეობისათვის სხვა აქტუალურ პრობლემებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, არის ჟურნალისტებთან მუშაობა, რომელთა ინტერესების სფეროს, ძირითადად, წარმოადგენს ენერგეტიკა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური პერიოდულად აწყო სემინარ-ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის, იწვევს ექსპერტებსა და დარგში მომუშავე სპეციალისტებს და ჟურნალისტებს აცნობს სისტემაში მიმდინარე პროცესებს, ალტერნატიული აზრის გათვალისწინებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახორციელებს ქართული პრესისა და სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემების ყოველდღიურ მონიტორინგს, ხდება განთავსებული მასალის დამუშავება და მათზე რეაგირება იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტი თვლის, რომ მიმდინარე მოვლენა ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალებებში არ იყო ობიექტურად გაშუქებული.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური დაიჯესტის სახით ყოველდღიურად ამზადებს პრესის მიმოხილვას (აქცენტი, რა თქმა უნდა გამახვილებულია ენერგეტიკაზე), მზადდება ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური მასალა, რომელსაც დაიჯესტის ფორმა აქვს და ეგზავნება ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და ჟურნალისტს. ასევე, საზოგადოებასთან წარმატებული ურთიერთობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კოორდინაციაზე როგორც უწყების შიგნით, დეპარტამენტებსა და თანამშრომლებს შორის, ასევე კოორდინაციაზე სხვა ენერგეტიკულ სტრუქტურებთან. როცა ლიცენზიატა შორის ხშირია სადავო საკითხები, რომელთა განხილვაც საჯარო სხდომებზე მიმდინარეობს. ამგვარ შემთხვევაში დაზუსტებული ინფორმაციის გავრცელებას დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მჭიდრო სამუშაო კონტაქტები გააჩნია საქართველოს ენერგეტიკის დარგში მომუშავე საერთაშორისო კომპანიების ანალოგიურ სამსახურებთან.

დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან-მესამე სექტორთან მუშაობას. ამ მიმართულებით შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ჯგუფი,

რომელიც კვირაში ერთხელ ერთად იკრიბება და აქტიურად თანამშრომლობს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- სამომხმარებლო ინტერესების გათვალისწინება;
- კომპეტენტური და ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესების თაობაზე;
- ენერგეტიკული სისტემის ინსტიტუციონალური პროცესის სრულყოფაში მონაწილეობა;
- გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის გათვალისწინება და ენერგეტიკის სფეროს მაქსიმალური გამჭირვალობა;
- დარგში გამჭირვალების უზრუნველყოფის მიზნით პერმანენტულად ურთიერთკოორდინაციის საფუძველზე სამოქალაქო მონიტორინგის წარმართვა;
- საზოგადოებრივი კონტროლი, რათა არსებული ენერგორესურსების ხარჯვა მოხდეს გადახდის მიხედვით;
- პრინციპის–ელექტროენერჯია მხოლოდ გადამხდელს–ხელშეწყობა;
- სატარიფო პოლიტიკის მონიტორინგი
- ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის აუცილებლობის პოპულარიზაცია და ენერგოდაზოგავი ტექნოლოგიების მონიტორინგი;
- ენერგოსისტემის ყველა სუბიექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის მონიტორინგი.

2. მოსახლეობასთან ურთიერთობა – „ცხელი ხაზი“. მოსახლეობასთან ყოველდღიური ურთიერთობა სატელეფონო „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მყარდება. ენერგეტიკის დარგში არსებულ პრობლემებთან თუ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, „ცხელი ხაზით“ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მომხმარებელი კოლექტიური

ხასიათის თხოვნითაც მიმართავს დეპარტამენტს, რაც ძირითადად ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტას უკავშირდება. თანამშრომლები ოპერატიულად ახდენენ ინფორმაციის დაზუსტებას ან გადამოწმებას გამანაწილებელი კომპანიების შესაბამის სამსახურებთან და შემდგომ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, თავად უკავშირდებიან მომხმარებელს. ხშირად მომხმარებელი ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო პრობლემის თაობაზე უკავშირდება დეპარტამენტს და მის მოგვარებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტის თანამშრომლები, თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ რეაგირებას მომხმარებელთა სატკივარზე, დახმარებას უწევენ პრობლემის გადაჭრაში უწევენ კონსულტაციებს, ასწავლიან მათი დაძლევის გზებს. მაგ; აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის“ კოორდინატორებთან შეთანხმებით, დეპარტამენტი „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სისტემატიურად ახდენდა მოსახლეობის ინფორმირებას „პროგრამის“ მსვლელობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ დეპარტამენტმა, დღიდან შექმნისა, დიდი სამუშაო გასწია, რადგან მოსახლეობაში „პროგრამის“ ირგვლივ პერიოდულად მრავალი კითხვა ჩნდებოდა, რომლებზეც დეპარტამენტს ამომწურავი პასუხები ჰქონდა.

ზემოაღნიშნული საკითხების თაობაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ყოველდღიურად რამდენიმე ათეული მომხმარებელი მიმართავდა. სწორედ რიგითი მოქალაქეების პრობლემების გაანალიზებით იკვეთება, თუ რა ძირითადი მოთხოვნები აქვს დღეს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელს; მათ შორისაა:

1. ელექტროენერჯის უწყვეტად მიწოდება;
2. ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად მიწოდება;
3. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;

4. აბონენტთა მომსახურების ცენტრების თანამშრომელთა მხრიდან მომხმარებელთან მოპყრობის გაუმჯობესება და სადავო საკითხების დროულად გადაწყვეტა;
5. გაზის აბონენტთათვის დროებით ფიქსირებული გადასახადის სავარაუდო შემოღებასთან დაკავშირებით მოსახლეობის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და ამ მხრივ ინფორმაციის დეფიციტი;
6. ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებლისათვის დაწესებული შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები.

სოციოლოგიური გამოკითხვები. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სისტემატურად ატარებს სოციოლოგიური გამოკითხვებს სემეკისათვის აქტუალურ საკითხებზე. მაგ. 2003 წლის სამი თვის განმავლობაში, დეპარტამენტმა ჩაატარა ორი სოციოლოგიური გამოკითხვა.

პირველი სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო ელექტროენერჯიაზე დიფერენცირებული ტარიფის შემოღების შემდეგ მოსახლეობის შეხედულებების განსაზღვრა დიფერენცირებული ტარიფის შესახებ.

კვლევა ჩაატარეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ჩატარების მეთოდი იყო – პირისპირ ანუ რესპოდენტის უშუალო გამოკითხვა, გამოიკითხა ქალაქ თბილისის 300 მოსახლე.

გამოკითხვის შედეგები აღმოჩნდა შემდეგნაირი: რესპოდენტების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი ელექტროენერჯის ტარიფი და მასთან დაკავშირებული პერიპეტიებია. გამოკითხულთა 61% დიფერენცირებული ტარიფის შემოღებას დადებითად აფასებს, ხოლო 39% კი – უარყოფითად.

მეორე სოციოლოგიური კვლევის მიზანი იყო, თუ როგორ აფასებდნენ გაზის აბონენტები ბუნებრივი გაზზე, დროებით, ფიქსირებული ტარიფის შემოღებას.

კვლევა ჩაატარეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა. ჩატარების მეთოდი იყო სატელეფონო გამოკითხვა. ორი კვირის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით გამოკითხა 500 რესპოდენტი.

გამოკითხვის შედეგები ასეთია: კითხვაზე ეთანხმებიან თუ არა ბუნებრივი გაზზე, დროებით ფიქსირებული ტარიფის შემოღებას, პასუხი არაერთგვაროვანი იყო. მომხმარებელი დაბნეულია, თუ რატომ უნდა დაწესდეს დროებით ფიქსირებული ტარიფი ბუნებრივი გაზზე, როდესაც უკვე დაყენებულია გაზის მრიცხველები და გამართულად მუშაობს. გამოკითხულთა 33% მიიჩნევს, რომ მათი მრიცხველები გამართულად მუშაობენ და გადახდა უნდა მოხდეს ჩვენების მიხედვით, 47%-თვის უმჯობესია დაზიანებული მრიცხველების შეკეთება და თანხის გადახდა ჩვენების შესაბამისად, ხოლო დანარჩენი 20% დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუ როგორ გადაიხდის ბუნებრივი გაზის საფასურს.

საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. მაგალითად: საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდისა და მეტი გამჭვირვალობის მიზნით, 2007 წლის იანვრიდან გაგრძელდა კომისიის საინფორმაციო ბიულეტენის რეგულარულად გამოცემა. ბიულეტენი, რომელშიც კომისიის მიერ 2007 წლის მანძილზე მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა, განკუთვნილია და ხელმისაწვდომი იყო როგორც ენერგეტიკის დარგში მოქმედი ლიცენზიატებისთვის და სხვა პირებისათვის, ასევე, მასმედიისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მომხმარებლისათვის.

საზოგადოებისთვის ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ცვლილება შეეხება ტარიფებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 2007 წლის 1 მაისამდე, ბუნებრივი გაზის ახალი სამომხმარებლო ტარიფების ძალაში შესვლამდე, კომისიამ ჩაატარა ანალიტიკური და საინფორმაციო კამპანია, რაც მიზნად ისახავდა

საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას იმ მიზეზებსა და გარემოებებზე, რამაც განაპირობა ბუნებრივი გაზის ტარიფების მატება. ჩატარებულმა საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა მასმედიის ყველა საშუალება და, შესაბამისად, საზოგადოების ფართო სპექტრი. კომისიის მიერ ამგვარი სტრატეგიის მომზადებისა და განხორციელების აუცილებლობა განაპირობა ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორთა ზეგავლენამ, როგორცაა 2007 წლის დასაწყისიდან რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის ორჯერ გაზრდა 235 აშშ დოლარამდე (ნეგატიური ფაქტორი) და ქვეყნის გაზმომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია (პოზიტიური ფაქტორი) და ასევე, იმ ფაქტმაც, რომ შექმნილ სიტუაციაში კომისიას მიწოდების ტარიფების არსებითად გაზრდის მოთხოვნით მიმართა ბუნებრივი გაზის იმპორტიორმა ყველა კომპანიამ სს „იტერა-საქართველომ“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულმა კორპორაციამ“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ და ყველა გაზგამანაწილებელმა ლიცენზიატმა.

გასული წლების მანძილზე კომისია თანამშრომლობდა ყველა საინფორმაციო საშუალებასთან, ჩატარდა მრავალი მიზნობრივი შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან. ყველა საჭირო შემთხვევაში, კომისია მიზანმიმართულად თანამშრომლობდა ენერჯეტიკის დარგში საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), EESBI, PA-კონსალტინგ, PAO EAC-ის სამსახურებთან და სხვა.

2007 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), კვლავაც განაგრძო პროექტის დიალოგი მასმედიასა და ენერჯეტიკული სექტორის წარმომადგენლებს შორის განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა მასმედიის მაქსიმალურ ინფორმირებასა და ჩართვას ენერჯეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო კომისიის საქმიანობის შემაჯამებელი პრეზენტაციის მომზადება, რომლითაც კომისია 2007 წლის სექტემბერში, ქ. ბათუმში, USAIDD-ის მიერ

პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ წარმომადგენლობით შეხვედრაზე წარსდგა. შეხვედრას ესწრებოდნენ ენერგეტიკის დარგში მოქმედი ყველა უწყების პირველი პირი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების თანამშრომლები და მასმედიის წარმომადგენლები.

აღნიშნული ტრადიციები სემეკში გრძელდებოდა 2008-2010 წლებშიც. კერძოდ, საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით ახდენდა მასმედიის წარმომადგენლებთან რეგულარულ შეხვედრებს, ავრცელებდა ინფორმაციებს კომისიის გადაწყვეტილებების, კომისიის სხდომების დღის წესრიგის, ენერგეტიკის სფეროში არსებული პრობლემებისა და სიახლეების შესახებ.

კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებდა მედიის საშუალებით გაშუქებულ არასწორ ინფორმაციაზე, მაგ: 2010 წლის 17-19 სექტემბერს მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, კომისიის ორგანიზებით ქ. ქობულეთში გაიმართა სემინარი ჟურნალისტებისათვის, რომელშიც საქართველოში მოქმედი ყველა წამყვანი მედია საშუალების წარმომადგენელი მონაწილეობდა. სემინარის დროს ჟურნალისტები გაეცნენ კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და სიახლეებს.

მომავალში საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართულებით საჭიროა განხორციელდეს სხვადასხვა აქტიური ღონისძიებები, მათ შორის:

- ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე, მათ შორის, ახალი ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობის, ტარიფებთან დაკავშირებული და სხვა მსგავსი საკითხების განხილვაში საზოგადოების უფრო ფართო მონაწილეობა
- პრესასთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება
- ტარიფების და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ კითხვა-პასუხის მოწყობა;
- ენერგოკომპანიების ინფორმაციულ მონაცემებთან დაშვება;

- დედაქალაქის გარეთ ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება და ა.შ.[დ. ჩომახიძე, ენერგეტიკა და საზოგადოება, თბილისი, 2011წ. გვ.102-დან გვ.110 ელექტრონული ვერსია]

მიუხედავად წინა წლებში ჩატარებული ღონისძიებებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის გაუნჯობების მიზნით, დღეს-დღეობით არ არის საკმარისი. ნათელია, რომ მარეგულირებელი კომისიაც ამახვილებს ამაზე ყურადღებას.

საზოგადოების ენერგეტიკული განათლების შეფასება: ენერგომბუდსმენი 2016 წლის ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს, მოქალაქეთა სამომხმარებლო ცოდნის ამაღლებისა და სისტემაში არსებულ პრობლემებზე.

2016 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

- დარეგისტრირდა - 4942 განცხადება
- კონსულტაციებისთვის მიმართა - 9108 მოქალაქემ
- ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელში მიმართა - 1965 მოქალაქემ

სექტორების მიხედვით:

- წყალმომარაგება-2592
- ელექტროენერგეტიკა - 1999
- ბუნებრივი გაზი - 351

გამოკითხვის საშუალებით შეფასებული საზოგადოების ენერგეტიკული განათლება შემდეგია:

კითხვარში მოცემულია ენერგეტიკის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი კითხვები, რომ აუცილებელია საზოგადოების 90%-მა მაინც იცოდეს და შეეძლოს სწორი აზრის დაფიქსირება.

გამოკითხვა შედგება ორი ფორმისგან, ერთი პირდაპირი გამოკითხვა, რომლის დროსაც გამოკითხულ იქნა მხოლოდ სკოლის მოსწავლეები და მეორე სოციალური მედიით, სადაც გამოკითხულ იქნა ყველა ასაკის ადამიანი.

სკოლის მოსწავლეების მე-11 კლასელთა გამოკითხვის შედეგები შემდეგია:

1.ეთანხმებით თუ არა დიდი ზომის ელექტროსადგურების მშენებლობას?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 92

ა)კი 58% ბ)არა 42%

2.თქვენი აზრით ხუდონჰესი უნდა აშენდეს?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 89

ა)კი 55% ბ)არა 45%

3.საქართველოში უნდა იყოს თუ არა ელექტროენერგია უფასო?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 91

ა)კი 55% ბ)არა 45%

4.რომელი ორგანიზაცია ადგენს ელექტროენერგიაზე ტარიფს?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 91

ა)თელასი 62% ბ)ენერგოპრო-ჯორჯია 15%

გ)სემეკი 9% დ)საქართველოს მთავრობა 14%

5.როგორ დგინდება ტარიფი?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 93

ა)ღირებულებით 54% ბ)ეკონომიკური მდგომარეობით 46%

6.მნიშვნელოვან წილად, არის თუ არა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა

ელექტროენერგიაზე?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 90

ა)კი 74% ბ)არა 26%

7.რომელი ენერგეტიკული რესურსი გამოიყენება საქართველოს

ელექტროენერგეტიკაში ყველაზე მეტად?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 93

ა) მზე, ქარი, თბო 10% ბ)ჰიდრო 90%

8.ყოფნის თუ არა საქართველოს საკუთარი წარმოების ელექტროენერგია?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 94

ა)კი 43% ბ)არა 57%

9.რომელი ძირითადი ენერგიაშემცველები შემოედინება გარედან?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 83

ა)გაზი 55% ბ)ქვანახშირი 1%

გ)ნავთობი 22% დ)ელექტროენერგია 11% ე)გაზი ნავთობი11%

10.რომელზე უფრო მეტია ტარიფი?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 92

ა)ჰესებზე 61% ბ)თესებზე39%

11.საჭიროა თუ არა ენერჯის დაზოგვა?

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა 94

ა)კი 90% ბ)არა 10%

რაც შეეხება სოციალური გამოკითხვის შედეგები შემდეგია:

1.ეთანხმებით თუ არა დიდი ზომის ელექტროსადგურების მშენებლობას?

ა)კი 84 (51.5%)

ბ)არა 79 (48.5%)

2.თქვენი აზრით ხუდონჰესი უნდა აშენდეს?

ა)კი 79 (48.8%)

ბ)არა 83(51.2%)

3.საქართველოში უნდა იყოს თუ არა ელექტროენერგია უფასო?

ა) კი 81(49.4%)

ბ)არა 83 (50.6%)

4.რომელი ორგანიზაცია ადგენს ელექტროენერგიაზე ტარიფს?

ა)თელასი 16 (9.9%)

ბ)ენერგოპრო-ჯორჯია 27 (16.8%)

გ)სემეკი 54 (35.5%)

დ)საქართველოს მთავრობა 64 (39.8%)

5.როგორ დგინდება ტარიფი?

ა)ღირებულებით 94 (57.7%)

ბ)ეკონომიკური მდგომარეობით 69 (41.3%)

6. მნიშვნელოვან წილად, არის თუ არა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა ელექტროენერგიაზე?

ა) კი 142 (87.1%)

ბ) არა 21 (12.9%)

7. რომელი ენერგეტიკული რესურსი გამოიყენება საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ყველაზე მეტად?

ა) ქარი 4 (2.5%)

ბ) მზე 3 (1.9%)

გ) თბო 9 (5.6%)

დ) ჰიდრო 146 (90.1%)

8. ყოფნის თუ არა საქართველოს საკუთარი წარმოების ელექტროენერგია?

ა) კი 72 (45%)

ბ) არა 88 (55%)

9. რომელი ძირითადი ენერგიაშემცველები შემოედინება გარედან?

ა) გაზი და ნავთობი 156 (95.8%)

ბ) ელექტროენერგია და ქვანახშირი 7 (4.2%)

10. რომელზე უფრო მეტია ტარიფი?

ა) ჰესებზე 101 (63.9%)

ბ) თესებზე 57 (36.1%)

11. საჭიროა თუ არა ენერჯის დაზოგვა?

ა) კი 153 (93.9%)

ბ) არა 10 (6.1%)

ასაკი:

13-17 8 4.9%

18-34 141 87%

35-65 11 6.8%

66 + 2 1.2%

სქესი:

მდედრობითი: 56 (35%)

მამრობითი: 104 (65%)

სკოლის მოსწავლეების გამოკითხვა საჭირო იყო, რადგან სკოლაში მიღებული ზოგადი განათლება აუცილებელია ყველასთვის, მოსწავლეები წარმოადგენენ ქვეყნის მომავალ თაობას და აუცილებელია ისინი ერკვეოდნენ ისეთ საკითხებში, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. გამოკითხვის შედეგებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეებს არ აქვთ ინფორმაცია ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ არ იციან რომელი ორგანიზაცია ადგენს ტარიფს და რომ ვერ იქნება ელ.ენერჯია უფასო, იციან რომ ჰიდრორესურსი გამოიყენება ყველაზე მეტად, მაგარმ ფიქრობენ რომ ჰესებზე უფრო მეტია ტარიფი ვიდრე თესებზე. კარგია, რომ უმეტესი ნაწილი ეთანხმება დიდი ზომის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, იციან რა რესურსი გაგვაჩნია, ქვეყნის ეკონომიკა, რომ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ელექტროენერჯიაზე და ა.შ. თუმცა პროცენტული მაჩვენებელი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი, აუცილებელია იცოდეს უფრო მეტმა და იყვნენ ინფორმირებული ამ საკითხებში .

რაც შეეხება სოციალური მედიით გამოკითხვის შედეგს კითხვარიდან გამოვყოთ ორი კითხვა, 2 და 3 რომლებიც მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნისთვის, გამოკითხულთა 51.2% ფიქრობს ,რომ ხუდონი ჰესი არ უნდა აშენდეს, რაც ჩემი აზრით არ არის კარგი და ეს ქმნის დიდ პრობლემას. 49.4% ფიქრობს რომ ელექტროენერჯია უნდა იყოს უფასო, ეს ძალიან ცუდი შედეგია, რადგან ამ ადამიანების მოტყუება არ გაუჭირდებათ დემაგოგებს. 7, 9 და 11 კითხვაზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება ამ საკითხებში არის ინფორმირებული, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, ჩემი აზრით აუცილებელია საზოგადოების განათლების გაუმჯობესება და მეტი ინფორმაციის მიწოდება ხალხისთვის. [დ.ბალავაძე „ენერჯეტიკა და საზოგადოებრივი განათლება“2015წ, სამაგისტრო ნაშრომი, ხელმძღვანელი დ. ჩომახიძე]

თავი II. ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება

2.1. ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემების კვლევა

2.1.1. ენერგეტიკული ტარიფები და სოციოლოგიური კვლევის შედეგები

ენერგეტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ბუნებრივად მონოპოლისტი, მასსა და საზოგადოებას შორის, ყოველთვის იქნება უკმაყოფილებები. ენერგეტიკა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგია, ამიტომ ის ხშირად ხდება მანიპულაციის საგანი პოლიტიკოსების მხრიდან, მაგალითად: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, წინასაარჩევნოდ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია ესეთ განცხადებას აკეთებს „ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში გაზის ტარიფი იქნება 10თეთრი, დენის 5თეთრი, ხოლო წყალი უფასო“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოქმედი ხელისუფლება ესეთ განცხადებას აკეთებს „ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსით და ელექტროენერჯის ტარიფი უნდა შემცირდეს“ რა ხდება რეალურად? განცხადებებისა და დაპირებების მიუხედავად ტარიფი არამცთუ იკლებს არამედ იზრდება, ამას შეიძლება ვუწოდოთ ენერგეტიკით მანიპულირება.

დღესდღეობით ენერგეტიკული ტარიფები მატულობს, რაც ლოგიკურია. ამ მოვლენების მიმართ საზოგადოება აგრესიულადაა განწყობილი, რაც ასევე ლოგიკურია. ისმის კითხვა, რა უნდა მოითხოვოს ხალხმა ენერგეტიკული ტარიფების კლება თუ ქვეყნის ეკონომიკური დონის ამაღლება, რათა ხალხმა შეძლოს გაზრდილი ტარიფების გადახდა.

ქვეყანაში ეკონომიკური დონე არ არის მაღალი, რის გამოც საზოგადოება ყოველთვის უკმაყოფილო იქნება ენერგეტიკული

ტარიფებით, რადგან დაბალი ეკონომიკური დონის გამო, ხალხს უჭირს, მოხმარებული ენერჯის საფასურის გადახდა. გამომდინარე წინა წლებიდან, უახლოეს მომავალში ენერგეტიკული პროდუქციის ტარიფს, კლების პირი არ უჩანს, ამიტომ ჩავატარე მცირე კვლევა , საცალო მომხმარებლის მიერ, მოხმარებულ ენერჯიაზე საფასურის გადახდის სისტემი შესახებ.

საინტერესოა კვლევა იმის თუ როგორია საზოგადოების მიდგომა ტარიფებთან რამდენად უჭირთ და რომელ სეზონზე კომუნალურების გადახდა. მაგალითად, ევროპის ბევრ ქალაქში გადახდის ესეთი საინტერესო სისტემაა: მომხმარებელი ყოველთვიურად იხდის X თანხას, წლის ბოლოს ხდება მოხმარებული ენერჯის (ბუნებრივი გაზი, ელექტრო ენერჯია) შეჯამება, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს გადახდილი აქვს იმაზე მეტი თანხა ვიდრე მოხმარებული ენერჯია კომპანია უბრუნებს ზედმეტ გადახდილს უკან, ხოლო თუ პირიქით მომხმარებელი ფარავს დარჩენილ დავალიანებას. ერთის მხრივ, ესეთი გადახდის სისტემა პრაქტიკულია და ფინანსურად საშუალო ფენის მომხმარებლისთვის უფრო გამოსადეგი, რადგან ზამთრის პერიოდში საგრძნობლად იმატებს კომუნალური გადასახადები, ხოლო ხელფასი ზამთარსა და ზაფხულს ერთნაირია. გადახდის სისტემის ამ მეთოდთან დაკავშირებით ჩავატარე შემდეგი კვლევა: გამოიკითხა მომხმარებლები, რომელთა მოწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე, დაანგარიშდა თუ როგორი იქნებოდა მათი კომუნალური გადასახადები ამ მეთოდით. ცხრილი2.1. ნაჩვენებია გამოკითხული მომხმარებლების ბუნებრივი გაზის მოხმარების სტატისტიკა ბოლო 2 წლის მონაცემებით.

10 ბუნებრივი გაზის მომხმარებელი იქნა შერჩეული, რომელთა მოხმარებული ბუნებრივი გაზი ბოლო 2 წლის მანზილზე საკმაოდ სოლიდურია. ცხრილი2.2-ზე ნაჩვენებია ათივე მომხმარებლის გადახდილი თანხები 2016-2017 წლებში, თვეების მიხედვით.

ცხრილი 2.1. გამოკითხული მომხმარებლების ბუნებრივი გაზის მოხმარების სტატისტიკა 2016-2017 წლის მონაცემებით

მომხმარებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³	გ³
მომხმარებელი.1 2016წელი	214	193	170	111	47	37	31	24	12	30	117	197
მომხმარებელი.1 2017წელი	243	233	196	118	84	49	47	37	20	47	59	176
მომხმარებელი.2 2016წელი	434	384	284	243	101	51	56	29	43	76	319	596
მომხმარებელი.2 2017წელი	394	413	354	277	73	111	62	35	57	123	244	442
მომხმარებელი.3 2016წელი	212	204	154	121	55	45	35	23	31	56	128	233
მომხმარებელი.3 2017წელი	179	190	124	82	62	56	35	15	36	50	129	183
მომხმარებელი.4 2016წელი	447	364	202	107	64	51	55	57	44	108	265	465
მომხმარებელი.4 2017წელი	414	430	258	128	66	49	59	57	46	64	165	366
მომხმარებელი.5 2016წელი	377	287	239	207	82	51	57	37	33	41	182	396
მომხმარებელი.5 2017წელი	403	463	352	241	173	80	49	48	33	98	238	352
მომხმარებელი.6 2016წელი	360	339	236	139	59	51	66	53	49	121	231	354
მომხმარებელი.6 2017წელი	305	332	196	102	44	35	31	31	21	78	215	324
მომხმარებელი.7 2016წელი	414	360	235	168	102	89	77	61	68	131	285	424
მომხმარებელი.7 2017წელი	448	412	300	261	169	124	103	50	92	145	258	381
მომხმარებელი.8 2016წელი	147	124	93	74	45	37	37	22	18	27	92	154
მომხმარებელი.8 2017წელი	159	160	133	61	45	48	32	22	31	45	94	256
მომხმარებელი.9 2016წელი	441	497	362	287	200	65	77	82	67	137	321	486
მომხმარებელი.9 2017წელი	447	551	443	312	136	75	80	58	55	122	399	524
მომხმარებელი.10 2016წელი	300	310	215	202	100	40	27	31	28	34	183	235
მომხმარებელი.10 2017წელი	235	285	195	35	38	33	34	41	32	35	35	91

ცხრილი 2.2. მომხმარებლების ბუნებრივ გაზოში გადახდილი თანხები 2016-2017 წლებში

მომხმარებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
თანხა	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾	₾
მომხმარებელი.1 2016წელი	98	88	78	51	21	17	14	11	6	14	53	90
მომხმარებელი.1 2017წელი	111	106	89	54	38	22	21	17	9	21	27	81
მომხმარებელი.2 2016წელი	198	175	129	110	46	23	25	13	20	35	146	272
მომხმარებელი.2 2017წელი	180	188	161	126	33	51	28	16	26	57	113	204
მომხმარებელი.3 2016წელი	97	93	70	55	25	21	16	10	14	26	58	106
მომხმარებელი.3 2017წელი	82	87	57	37	28	26	16	7	17	23	60	84
მომხმარებელი.4 2016წელი	204	166	92	49	29	23	25	26	20	49	121	212
მომხმარებელი.4 2017წელი	189	196	118	58	30	22	27	26	21	30	76	169
მომხმარებელი.5 2016წელი	180	131	109	94	37	23	26	17	15	19	83	181
მომხმარებელი.5 2017წელი	184	211	161	110	79	36	22	22	15	45	110	162
მომხმარებელი.6 2016წელი	164	155	108	63	27	23	30	24	22	55	105	161
მომხმარებელი.6 2017წელი	139	151	89	47	20	16	14	14	10	36	99	150
მომხმარებელი.7 2016წელი	189	164	107	77	47	41	35	27	31	60	130	193
მომხმარებელი.7 2017წელი	204	188	137	119	77	57	48	23	43	67	119	176
მომხმარებელი.8 2016წელი	67	57	42	34	21	17	17	10	8	12	42	70
მომხმარებელი.8 2017წელი	73	73	61	28	21	22	15	10	14	21	43	118
მომხმარებელი.9 2016წელი	201	227	165	131	91	30	35	37	31	62	146	222
მომხმარებელი.9 2017წელი	204	251	202	142	62	34	36	27	25	56	184	242
მომხმარებელი.10 2016წელი	137	141	98	92	46	18	12	14	13	15	83	107
მომხმარებელი.10 2017წელი	107	130	89	16	17	15	16	19	15	16	16	42

რაც შეეხება კითხვარს, აღწერილია თუ რისი დაანგარიშებისთვისაა საჭირო მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, განემარტათ, რომ კონფედენციალობა იქნება დაცული, ამისათვის ცხრილებში, სახელი და გვარები ნაცვლად, წერია მომხმარებელი.1, მომხმარებელი.2 და ა.შ. ასევე

განემართათ თუ რა მოქმედი კანონია მოხმარებული ბუნებრივი გაზის გადახდის შესახებ და როგორი შეიძლება იყოს ყოფილიყო ის.

მაგალითისთვის ქვემოთ ნაჩვენებია კითხვარის ნიმუში:

კითხვარი

გამარჯობა ძვირფასო ინტერვიუარო, მე გახლავარ დავით ბალავაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დოქტორანტი. სადისერტაციო ნაშრომისთვის რომელსაც ჰქვია „ენერჯეტიკის განვითარებაში საზოგადოებრივი განათლების როლი და მისი ამალგების მიმართულებები“ ვატარებ კვლევას კომუნალური გადასახადების, გადახდის სისტემის შესახებ. თქვენს შემთხვევაში განხილულია თქვენივე მოხმარებული ბუნებრივი გაზის ამჟამინდელი გადახდის სისტემა და თქვენივე მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაანგარიშდა , თუ როგორი იქნებოდა ის განსხვავებული მეთოდით. როგორც მოგეხსენებათ „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ დადგენილება #12 ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ, მე-10 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვა და საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის შესაბამისად). ევროპის ბევრ ქალაქში გადახდის ესეთი საინტერესო სისტემაა: მომხმარებელი ყოველთვიურად იხდის X თანხას, წლის ბოლოს ხდება მოხმარებული ენერჯის (ბუნებრივი გაზი, ელექტრო ენერჯია) შეჯამება, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს გადახდილი აქვს იმაზე მეტი თანხა ვიდრე მოხმარებული ენერჯია კომპანია უბრუნებს ზედმეტ გადახდილს უკან, ხოლო თუ პირიქით მომხმარებელი ფარავს დარჩენილ დავალიანებას. თქვენი მოწოდებული ინფორმაციით 2016-2017 წელს მოხმარებული ბუნებრივი გაზის დინამიკა შემდეგია: (ნაჩვენებია ცხრილის ფორმა)

მომხმარებელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2016 წელი მოხმარებული გაზი მ ³												
2017 წელი მოხმარებული გაზი მ ³												
2016 წელი გადახდილი თანხა ლ												
2017 წელი გადახდილი თანხა ლ												

მკირფასო ინტერვიუარო თქვენ ისურვებდით 2016 წელს ყოველ თვე ფიქსირებულად გეხადათ X ლარი, 2016 წლის მონაცემებიდან გამომდინარე ეს X თანხა , 2017 წელს შეიცვლებოდა Y თანხით, ხოლო 2017 წლის მონაცემებით Y თანხა 2018 წელს შეიცვლება Z თანხით.

- თქვენი აზრით გაამარტივებდა და უფრო იოლს გახდიდა თუ არა კომუნალური გადასახადების, გადახდის ესეთი სისტემა თქვენი ფინანსებიდან გამომდინარე?

ა) კი ბ) არა

- ისურვებდით თუ არა ესეთი გადახდის სისტემას

ა) კი ბ) არა

კვლევის შედეგები

რაც შეეხება კვლევის შედეგებს: ცხრილი 2.3 და 2.4-ში მოყვანილი მონაცემები არის რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც დაანგარიშდა თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მათი გადახდის დინამიკა სხვა მეთოდით. ცხრილი 2.3-ში ნაჩვენებია 2016 წელს რა თანხა გადაიხადეს მოხმარებულ ბუნებრივ გაზში და სულ რამდენი მ³ გაზი მოიხმარეს. ასევე ნაჩვენებია 2017 წელს რა ფიქსირებული თანხა ექნებოდათ სახდელი.

როგორც ცხრილიდან ჩანს ხუთ მომხმარებელთან მკირდება ბუნებრივი გაზის სახდელი, ერთ მომხმარებელთან იგივე რჩება, ხოლო ოთხთან

იზრდება. ხუთ მომხმარებელს წლის ბოლოს დაუბრუნდებოდა ან კრედიტში დარჩებოდა ზედმეტი შეტანილი თანხა, რაც ზოგისთვის საკმაოდ სოლიდურია, ხოლო დანარჩენ ხუთ მომხმარებელს მოუწევდა დარჩენილი დავალიანების დაფარვა. ამ ცხრილიდან გამომდინარე, ახალი მეთოდით დადგინდებოდა 2017 წელს ყოველ თვე რა ფიქსირებული თანხა ექნებოდათ სახდელი მომხმარებლებს, რაც ნაჩვენებია ცხრილი.2.4-ში

ცხრილი 2.3. 2016 წელს რა თანხა გადაიხადეს მოხმარებულ ბუნებრივ გაზში და სულ რამდენი მ³ გაზი მოიხმარეს

	მომხმარებელი.1	მომხმარებელი.2	მომხმარებელი.3	მომხმარებელი.4	მომხმარებელი.5	მომხმარებელი.6	მომხმარებელი.7	მომხმარებელი.8	მომხმარებელი.9	მომხმარებელი.10
მომხმარებლის მიერ არჩეული ფიქსირებული თანხა	60	100	70	80	60	90	90	40	110	80
2016წელს მოხმარებული გაზის ხარჯის ჯამი მ ³	1183	2616	1297	1929	1989	2058	2414	870	3022	1705
2016წლის მონაცემებზე დაყრდნობით გამოანგარიშებული საშუალო ხარჯი მ ³	99	218	108	161	166	171	201	72	252	142
2016 წელს გადახდილი თანხა ლარში	541	1192	591	1016	915	937	1101	397	1378	776
მომხმარებელს რა თანხის დამატება ან რა თანხა დაუბრუნდებოდა წლის ბოლოს	+206	-8	+249	-56	-195	+143	-21	+83	-58	+184
რა ფიქსირებული თანხა ექნებოდა სახდელი 2017 წელს წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით	45ლ	100ლ	50ლ	85ლ	76ლ	80ლ	92ლ	33ლ	115ლ	65ლ
რამდენით შემცირდა ან გაიზარდა თანხა წინა წელთან შედარებ	-15	0	-20	+5	+16	-10	+2	-7	+15	-15

როგორც, ცხრილი.2.4-დან ჩანს, ხუთ მომხმარებელთან გაიზარდა ყოველთვიური გადასახადი, ხოლო ხუთთან შემცირდა. ასევე აქაც ხუთ მომხმარებელს დაუბრუნდებოდა ან კრედიტში დარჩებოდა ზედმეტი თანხა, ხოლო დანარჩენს მოუწევდა დარჩენილი დავალიანების გადახდა. რა აძლევს ამ კვლევას მნიშვნელობას და რას შეცვლიდა ეს მეთოდი მომხმარებლისთვის? საინტერესო იქნება, მათი ხელფასების და ამ კონკრეტული ერთი კომუნალური გადასახადის შედარება ერთმანეთთან.

როგორც ზემოთ ავლინებთ ხელფასი ზამთარ-ზაფხულს ერთნაერია, ხოლო ბუნებრივი გაზის მოხმარება ზამთარში საგრძნობლად იმატებს და შესაბამისად მაშინ ხდება რთული გადასახადი, როცა ეს ყველაზე მეტად გჭირდება. ახალი მეთოდი მომხმარებელს აძლევს იმის საშუალებას, რომ სახდელი თანხა გაანაწილოს ერთ წელზე და შეამციროს იმის შანსი, რომ ზამთრის ცივ დღეებში შეეწყვიტოს გაზის მიწოდება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივ გაზთან ერთად კომუნალურ გადასახადებში არის, ელექტრო ენერჯის, წყლის და დასუფთავების გადასახადი, დამატებით შეიძლება ჩაითვალოს ტელევიზიის და ინტერნეტის გადასახადები.

ცხრილი 2.4. 2017 წელს ყოველ თვე რა ფიქსირებული თანხა ექნებოდათ სახდელი მომხმარებლებს

	მომხმარებელი.1	მომხმარებელი.2	მომხმარებელი.3	მომხმარებელი.4	მომხმარებელი.5	მომხმარებელი.6	მომხმარებელი.7	მომხმარებელი.8	მომხმარებელი.9	მომხმარებელი.10
2017 წელს დადგენილი ფიქსირებული თანხა ლარში	45	100	50	85	76	80	92	33	115	65
2017წელს მოხმარებული გაზის ხარჯის ჯამი მ³	1309	2585	1141	2102	2530	1714	2743	1086	3202	1089
2017წლის მონაცემებზე დაყრდნობით გამოანგარიშებული საშუალო ხარჯი მ³	109	215	95	175	211	143	229	90	267	91
2017 წელს გადახდილი თანხა ლარში	596	1183	524	960	1153	785	1258	499	1465	498
მომხმარებელს რა თანხის დამატება ან რა თანხა დაუბრუნდებოდა წლის ბოლოს	-56	+17	+76	+60	-241	+175	-154	-103	-85	+282
რა ფიქსირებული თანხა ექნებოდა სახდელი 2018 წელს წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით	50	99	44	80	96	65	105	42	122	41
რამდენით შემცირდა ან გაიზარდა თანხა წინა წელთან შედარებით	+5	-1	-6	-5	+20	-15	+13	+9	+7	-24

შემდეგ ცხრილებში ნაჩვენებია თითოეული მომხმარებლის ხელფასის შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით.

ცხრილი 2.5. (მომხმარებელი.1) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.1	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	98	88	78	51	21	17	14	11	6	14	53	90
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	12.25	11	9.75	6.3	2.6	2.1	1.75	1.3	0.75	1.75	6.6	11.25
სხვა მეთოდით %	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	111	106	89	54	38	22	21	17	9	21	27	81
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	13.8	13.2	11.1	6.75	4.75	2.75	2.6	2.1	1.1	2.6	3.3	10.1
სხვა მეთოდით %	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25

ცხრილი 2.6. (მომხმარებელი.2) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.2	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	198	175	129	110	46	23	25	13	20	35	146	272
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	24,75	21,8	16,1	13,75	5,75	2,8	3,1	1,6	2,5	4,3	18,2	34
სხვა მეთოდით %	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5	12,5
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	180	188	161	126	33	51	28	16	26	57	113	204
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	22,5	23,5	20,1	15,75	4,1	6,3	3,5	2	3,25	7,1	14,1	25,5
სხვა მეთოდით %	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3	12,3

ცხრილი 2.7. (მომხმარებელი.3) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.3	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	97	93	70	55	25	21	16	10	14	26	58	106
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	12,1	11,6	8,75	6,8	3,1	2,6	2	1,25	1,75	3,25	7,2	13,25
სხვა მეთოდით %	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25	6,25
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	82	87	57	37	28	26	16	7	17	23	60	84
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	10,2	10,8	7,1	4,6	3,5	3,25	2	0,8	2,1	2,9	7,5	10,5
სხვა მეთოდით %	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5	5,5

ცხრილი 2.8. (მომხმარებელი.4) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.4	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	204	166	92	49	29	23	25	26	20	49	121	212
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	25,5	20,75	11,5	6,1	3,6	2,8	3,1	3,25	2,5	6,1	15,1	26,5
სხვა მეთოდით %	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6	10,6
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	189	196	118	58	30	22	27	26	21	30	76	169
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	23,6	24,5	14,7	7,25	3,7	2,75	3,3	3,25	2,6	3,75	9,5	21,1
სხვა მეთოდით %	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10

ცხრილი 2.9. (მომხმარებელი.5) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.5	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	180	131	109	94	37	23	26	17	15	19	83	181
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	22,5	16,3	16,6	11,75	4,6	2,8	3,25	2,1	1,8	2,3	10,3	22,6
სხვა მეთოდით %	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5	9,5
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	184	211	161	110	79	36	22	22	15	45	110	162
ხელფასის რამდენი პროცენტია დრევანდელი მეთოდით	23	26,3	20,1	13,75	9,8	4,5	2,75	2,75	1,8	5,6	13,75	20,2
სხვა მეთოდით %	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12

ცხრილი 2.10. (მომხმარებელი.6) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.6	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	164	155	108	63	27	23	30	24	22	55	105	161
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	20,5	19,3	13,5	7,8	3,3	2,9	3,7	3	2,75	6,8	13,1	20,1
სხვა მეთოდით %	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75	9,75
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	139	151	89	47	20	16	14	14	10	36	99	150
ხელფასის რამდენი პროცენტია დრევანდელი მეთოდით	17,3	18,8	11,1	5,8	2,5	2	1,75	1,75	1,25	4,5	12,3	18,75
სხვა მეთოდით %	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1	8,1

ცხრილი 2.11. (მომხმარებელი.7) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.7	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	189	164	107	77	47	41	35	27	31	60	130	193
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	23,6	20,5	13,3	9,6	5,8	5,1	4,3	3,3	3,8	7,5	16,2	24,1
სხვა მეთოდით %	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5	11,5
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	204	188	137	119	77	57	48	23	43	67	119	176
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	25,5	23,5	17,1	14,8	9,6	7,1	6	2,8	5,3	8,3	14,8	22
სხვა მეთოდით %	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1	13,1

ცხრილი 2.12. (მომხმარებელი.8) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.8	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	67	57	42	34	21	17	17	10	8	12	42	70
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	8,3	7,1	5,25	4,25	2,6	2,1	2,1	1,25	1	1,5	5,25	8,75
სხვა მეთოდით %	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1	4,1
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	73	73	61	28	21	22	15	10	14	21	43	118
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	9,1	9,1	7,6	3,5	2,6	2,75	1,8	1,25	1,75	2,6	5,3	14,7
სხვა მეთოდით %	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25	5,25

ცხრილი 2.13. (მომხმარებელი.9) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.9	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარში	201	227	165	131	91	30	35	37	31	62	146	222
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	25,1	28,3	20,6	16,3	11,3	3,75	4,3	4,6	3,8	7,7	18,2	27,7
სხვა მეთოდით %	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3	14,3
2017 წელს გაზის ხარჯი ლარში	204	251	202	142	62	34	36	27	25	56	184	242
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	25,5	31,3	25,2	17,7 5	7,7	4,2	4,5	3,3	3,1	7	23	30,2
სხვა მეთოდით %	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,2	15,25

ცხრილი 2.14. (მომხმარებელი.10) მომხმარებლის ხელფასების შედარება მათ მიერ ბუნებრივ გაზსში გადახდილ თანხებთან,თვეების მიხედვით

მომხმარებელი.10	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელფასი	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
2016წელს გაზის ხარჯი ლარ	137	141	98	92	46	18	12	14	13	15	83	107
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	17,1	17,6	12,2	11,5	5,7	2,2	1,5	1,75	1,6	1,8	10,3	13,3
სხვა მეთოდით %	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5	6,5
2017 წელს გაზის ხარჯი ლარ	107	130	89	16	17	15	16	19	15	16	16	42
ხელფასის რამდენი პროცენტია დღევანდელი მეთოდით	13,3	16,2 5	11,1	2	2,1	1,8	2	2,3	1,8	2	2	5,25
სხვა მეთოდით %	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1	5,1

მოცემული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, გადახდის განსხვავებული სისტემის შეთავაზება მომხმარებლებისთვის, იმოქმედებს დადებითად. თვითონ კვლევის მონაწილეების აზრიც ასეთია, 10 რესპოდენტმა ორივე კითხვაზე დადებითი პასუხი შემოხაზა, ფიქრობენ რომ ურჩევნიათ სახდელი თანხა ჰქონდეთ ფიქსირებული, რადგან მას პროგნოზი არ სჭირდება, ასევე წინასწარ იციან ხელფასის რა ნაწილი მიდის გადასახადში და ეს მათთვის მოულოდნელი არ იქნება, ასევე ფიქრობენ, რომ ამ მეთოდით უფრო ადვილია ზამთრის ცივ დღეებში ბუნებრივი გაზის უწყვეტ რეჟიმში მიღება.

გადახდის სისტემის ახალი მეთოდის დასანერგად, საჭიროა ბევრი ფაქტორის გათვალისწინება და ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. პირველი ფაქტორია საზოგადოების აზრი, რამდენად გონივრულად შეხედავენ ახალ გადახდის სისტემას და დაუჭერენ თუ არა მხარს. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევიდან, ათივე მომხმარებელი დადებითად მიუდგა ამ საკითხს. შემდეგი ფაქტორია, განაწილების ლიცენზიატის ინტერესები და მისი ტექნიკური და ფინანსური მზადყოფნა. მაგალითად: შ.პ.ს „ყაზტრანსგაზ თბილისი“ 413 634 მომხმარებელს ემსახურება, კომპანია ვერ ახერხებს ყოველთვე ყველა მომხმარებლის აღრიცხვის კვანძისგან, აიღოს მოხმარებული ბუნებრივი გაზის ჩვენება, რადგან ყველა აღრიცხვის კვანძი გარეთ არ არის, შესაბამისად ჩვენების აღება დამოკიდებულია მომხმარებლის სახლში ყოფნაზე. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მომხმარებლის სოლიდური ნაწილი ცდილობს აღრიცხვის კვანძზე ანათვლის გაყალბებას ან გაზის უკანონოდ მოხმარებას. ყველა ეს და სხვა ფაქტორები არსებითად მოქმედებს რაიმე პროგრესული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითქმის ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

საინტერესოა, როგორია მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობა, მოხმარებულ ბუნებრივ გაზზე დედაქალაქში. შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მონაცემებით 2017 წელს 107 280 მომხმარებელს შეუწყდა გაზის

მიწოდება დავალიანების გადაუხდელობის გამო, რაც მთლიანი მომხმარებლების 26 %-ია.

ცხრილი 2.15. ბუნებრივი გაზის შეწყვეტის და აღდგენის დინამიკა თვეების მიხედვით 2017 წელს

2017 წელი თვეები	დავალიანების გამო შეუწყდა გაზის მიწოდება	დავალიანების დაფარვის შემდეგ აღუდგა გაზის მიწოდება	%
იანვარი	13277	7405	56
თებერვალი	11633	7502	64
მარტი	14858	8336	56
აპრილი	13843	8408	61
მაისი	13157	9046	69
ივნისი	8312	6446	78
ივლისი	4511	4949	110
აგვისტო	5832	5558	95
სექტემბერი	5589	5233	94
ოქტომბერი	4820	4631	96
ნოემბერი	5486	5955	109
დეკემბერი	5962	6117	103
სულ	107 280	79580	26

გამომდინარე იქედან, რომ 10 მომხმარებელი ძალიან მცირე რაოდენობაა კვლევისთვის, ზემოთ ნაჩვენები ინფორმაციის საფუძველზე, გამოკითხვის მაშტაბები გავზარდე, ანუ 100-მდე ადამიანი გამოიკითხა, გამოკითხვის პრინციპი იყო, ზემოთ ხსენებული 10 მომხმარებლის მონაცემების გაცნობა და ამის შემდეგ მათზე კითხვების დასმა, რაც შემდეგია:

- თქვენი აზრით გაამარტივებდა და უფრო იოლს გახდიდა თუ არა, კომუნალური გადასახადების, გადახდის ესეთი სისტემა თქვენი ფინანსებიდან გამომდინარე?

ა)კი ბ) არა

- ისურვებდით თუ არა ესეთი გადახდის სისტემას

ა)კი ბ)არა

ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის სისტემის განსხვავებული მოდელის შეთავაზებაზე, აზრები შემდეგნაერად გაიყო: 70%-სთვის ახალი მოდელი გაამარტივებდა საფასურის გადახდას და ისურვებდა მას, ხოლო დარჩენილი 30% პირიქით.

2.1.2. საქართველოში და უცხოეთში არსებული ტარიფების შედარებითი ანალიზი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველოში, ისე როგორც პოსტსოციალურ ქვეყნებში ენერჯიაშემცველებზე ფასების ზრდა გამოიწვია. ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ელექტროენერჯია და ბუნებრივი გაზი მომხმარებელს სიმბოლურ ფასად მიეწოდებოდა და იგი თვითღირებულებაზე დაბალი იყო. საბჭოთა წლებში და შემდგომაც გარკვეულ პერიოდში ენერჯიაზე ფასწარმოქმნის არასწორი პოლიტიკა ხორციელდებოდა. მომხმარებელს ელექტროენერჯიაც და ბუნებრივი გაზიც ხელოვნურად შემცირებული ტარიფით მიეწოდებოდა. ასე გრძელდებოდა საქართველოში ენერჯეტიკის მარეგულირებელი ორგანოს შექმნამდე. 1 წლით ადრეც - 1995 წელს ინერჯით კვლავ გრძელდებოდა ენერჯიაზე ფასწარმოქმნის საბჭოთა პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ ითქვა, მრავლისმეტყველია შემდეგი ფაქტი. 1995 ზამთარში საქართველოს თურქეთისგან სესხად ჰქონდა აღებული ელექტროენერჯია იმ პირობით, რომ ზაფხულის თვეებში დაუბრუნებდა 1,7-ჯერ მეტი ოდენობით ან გადაუხდიდა საფასურს მაღალი ძაბვის ყოველი კილოვატსაათისთვის 7,0 აშშ ცენტს. სინამდვილეში კი მაშინ საქართველოს მოსახლეობა დაბალი ძაბვის ამ კილოვატსაათებში იხდიდა მხოლოდ 25000 კუპონს, ანუ მაშინდელი სავალუტო კურსით თუ ვიმსჯელებთ 3,6-ჯერ ნაკლებს.

პირველი გადაწყვეტილება ტარიფების ზრდის შესახებ მიღებული იქნა კომისიის ჯერ კიდევ ეკონომიკის სამინისტროსთან ფუნქციონირების პერიოდში, რომელიც შეეხებოდა ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯიის გასაყიდ საბითუმო ტარიფებს (1997 წ. თებერვალი). ამ მიმართულებით მუშაობა უფრო მეტი ინტენსიურობით გაგრძელდა „ ელექტროენერჯეტიკის შესახებ „ (შემდგომ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ „) საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, როდესაც სემეკს, სექტორის შიგნით მოქმედ ტარიფებთან ერთად, დაევალა

საბოლოო მომხმარებელთა ტარიფების დადგენა და რეგულირება განვილილ 5 წელიწადში (1997-2002წწ.) კომისიის მიერ ტარიფების შესახებ მიღებული იქნა 37 დადგენილება და 124 გადაწყვეტილება , მათ შორის ელექტროენერგეტიკულ სექტორში - შესაბამისად 25 და 98, ხოლო ბუნებრივი გაზის 12 და 26. მათში წინა პლანზე იყო წამოწეული სექტორის ლიცენზიატა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, სექტორში პრივატიზების პროცესების გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

როგორც უკვე აღინიშნა , სემეკის მიერ პირველ ეტაპზე 1998 წლის 1 ოქტომბრიდან ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის, დაწესდა ტარიფი - 6 თეთრი ერთი კილოვატსაათისთვის. შემდგომში ქვეყნის ელექტრობალანსის სტრუქტურის ცვლილების ეროვნული ვალუტის კურსის არსებითი ვარდნის, ელექტროენერჯისა და საწვავის იმპორტის დაბეგვრის რეჟიმის გამკაცრების , თბოსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერჯის გაძვირების გამო, 1999 1 ივნისიდან ელექტროენერჯის საცალო ტარიფები, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის, მათ შორის მოსახლეობისთვის, 380/220 ვოლტ ძაბვაზე დადგინდა ქ.თბილისში 9 თეთრი, ხოლო სხვა რეგიონებში 8,3 თეთრი ყოველი კილოვატსაათისათვის. 2009 წლის პირველი სექტემბრიდან თბილისისი - 9,8, აჭარაში - 8,5 , დანარჩენ რეგიონებში - 8,4 თეთრი ყოველ კილოვატსაათისათვის. ქ. თბილისის ელექტრომომარაგების ტარიფზე, გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, გავლენა იქონია სს „თელასის“ პრივატიზების ხელშეკრულებით დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამის შესაბამისი სატარიფო მოდელის ამოქმედების აუცილებლობამ, ლარის კურსის ცვლილებამ და სხვ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ტარიფების დიფერენცირება ხდებოდა სხვადასხვა ძაბვისა და მომხმარებლის კატეგორიის მიხედვით, რათა ხელი შეეწყობოდა მეწარმეობის განვითარებას, და განხორციელებულიყო მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის

სუბსიდირება ლიცენზიატების ან სხვა კატეგორიის მომხმარებელთა ხარჯზე. ამ მიზნით, სემეკის გადაწყვეტილებით დადგინდა განსხვავებული (დაბალი) ტარიფები, ე.წ. პირდაპირი მომხმარებლებისათვის, რომლებიც ელექტროენერგიას იღებენ საშუალო და მაღალ ძაბვაზე. ეს შეეხებოდა მსხვილ საწარმოებს, როგორცაა: რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რუსთავის აზოტი, რუსთავეცემენტი, თბილისის იზოტობების ქარხანა, სს „კასპიცემენტი“ ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, ტყიბულქვანახსირი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სატუმბო სადგურები, ოთის ნავსადგური, სს „მადნეული“ , შპს „საქართველოს რკინიგზა“ და ა.შ. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანი სტიმულის მიმცემი იყო მეწარმეობის ხელშეწყობა- განვითარებისთვის .

როგორც ზემოთ დავინახეთ, რეალურ ღირებულებაზე გადასვლამ საქართველოში ტარიფის სწრაფი ზრდა გამოიწვია და იგი კვტ.სთ-ზე 6 თეთრიდან 16 თეთრამდე, ანუ 2,66-ჯერ გაიზარდა. რა ხდებოდა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში?

ცხრილში შედარებულია საქართველოში მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფი ენერგეტიკის მარეგულირებელი რეგიონალური ასოციაციის (ERRA) წევრი 21 ქვეყნის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფთან, როგორც ამ ცხრილიდან ჩანს , საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ელექტროენერგიის ტარიფი არც ყველაზე მაღალია და არც ყველაზე დაბალი. მაგალითად: ჩვენ ტარიფთან შედარებით უნგრეთში 2,6-ჯერ , სლოვაკეთში - 2,5ჯერ, პოლონეთში - 1,9 ჯერ და ა.შ. ძვირია. მაგრამ იაფია სომხეთში, მაკედონიაში, მონღოლეთში, რუსეთში, უკრაინაში და ა.შ ქვეყნებში შესაბამისად 18,6 ; 9,1; 25,4; 20,5 და 65,1 პროცენტით

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში და ენერგეტიკის მარეგულირებელი რეგიონული ასოციაციის წევრ 13 ქვეყანაში ბუნებრივი გაზის ტარიფის დონე ასეთია (ცხრილი 2.17). ცხრილში მოტანილი

ქვეყნებიდან საქართველოზე დაბალი ტარიფია, მხოლოდ აზერბაიჯანში და რუსეთში, ანუ იმ ქვეყნებში, რომელთაც საკუთარი წარმოების გაზი აქვთ.

ცხრილი 2.16. „ერას“ წევრი ზოგიერთი ქვეყნის ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფები დღგ-ის ჩათვლით, 2011 წლისათვის

#	ქვეყნის დასახელება	აშშ	საქართველოსთან
1	ალბანეთი	11,38	118,3
2	სომხეთი	7,83	81,4
3	ბოსნია ჰერცეგოვინა	10,63	110,5
4	ბულგარეთი	11,62	120,8
5	ხორვატია	25,74	163,6
6	ესტონეთი	12,59	130,8
7	საქართველო	9,62	100
8	უნგრეთი	24,84	258,2
9	ლატვია	16,65	173,1
10	ლიტვა	16,77	174,3
11	მაკედონია	8,75	90
12	მოლდოვა	12,39	128,8
13	მონღოლეთი	7,18	74,6
14	ჩერნოგორია	12,27	127,5
15	ნიგერია	8,39	87,2
16	პოლონეთი	18,33	190,5
17	რუმინეთი	15,62	162,4
18	რუსეთი	7,65	79,5
19	სერბეთი	8,53	88,6
20	სლოვაკეთი	23,84	247,8
21	თურქეთი	15,00	155,9
22	უკრაინა	3,36	34,9

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ენერგეტიკის რეფორმების პერიოდში ტარიფების ზრდა მაინც მნიშვნელოვანია. მაგრამ ხასგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულირების გარეშე ეს ზრდა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. ეს განპირობებულია, პირველ რიგში საქართველოში ენერჯის დიდი დეფიციტის არსებობით, აგრეთვე, ქვეყანაში საბაზროეკონომიკის პრინციპების დანერგვით. ენერჯის დეფიციტის პირობებში, ელექტროენერჯის მიმწოდებელთა მოთხოვნილება მაღალ ტარიფზე გაცილებით დიდი იქნებოდა.

ცხრილი 2.17. „ერას“ წევრი ზოგიერთი ქვეყნის ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები 2011 წლის ბოლოსათვის, დღგ-ის ჩათვლით.

#	ქვეყნის დასახელება	აშშ	საქართველოსთან
1	სლოვაკეთი	77,32	253,3
2	უნგრეთი	75,83	248,5
3	ლიტვა	72,11	236,3
4	ლატვია	70,53	231,1
5	პოლონეთი	68,83	225,5
6	ბულგარეთი	65,24	213,7
7	ბოსნია ჰერცეგოვინა	61,87	202,7
8	ესტონეთი	59,07	193,5
9	მოლდოვა	45,69	149,7
10	რუმინეთი	38,00	124,5
11	სომხეთი	35,47	116,2
12	საქართველო	30,52	100
13	აზერბაიჯანი	12,35	40,5
14	რუსეთი	12,75	41,8

მართალია, ხელფასის დაბალი დონის გამო საქართველოს მოსახლეობას შედარებით დაბალი ტარიფის გადახდა უფრო უძნელდება, ვიდრე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობას ბევრად უფრო მაღალი ტარიფის გადახდა, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენერჯიაზე დადგენილი ტარიფის სიდიდეს, ძირითადად მისი წარმოება-მიწოდების დანახარჯები განსაზღვრავს. ამდენად, ენერჯიაზე მაღალი ტარიფები ყველგან და მათ შორის საქართველოშიც, მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და დამოკიდებული არ არის მოსახლეობის წარმოება-დაწესებულების გადახდისუნარიანობასთან. ჩვენთან ხშირად ტარიფების ზრდის საკითხს მხოლოდ ცხოვრების დონეს უკავშირებენ და არა ენერჯიის წარმოება მიწოდებისათვის საჭირო რეალურ დანახარჯებს. [დემური ჩომახიძე, ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. გვ.222-დან გვ.227მდე].

საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების ელექტროენერჯიის ტარიფების და მოხმარების შედარება საქართველოსთან.

ცხრილი 2.18. ევროპის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის, ელექტროენერჯის მოხმარების და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ელ ენერჯის სტატისტიკა. 2017წელი

#	ქვეყნები	მოსახლეობის რაოდენობა	მოხმარებული ელ. ენერჯია გიგავატ/საათი	მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე კვტ/სთ	საქართველ ოსთან შედარება %
1	ბელგია	11365834	81714	7189	272
2	ბულგარეთი	7101859	28326	3989	151
3	ხორვატია	4154213	15343	3693	140
4	კვიპროსი	854802	4091	4786	181
5	ჩეხეთი	10578820	54474	5149	195
6	დანია	5748769	30700	5340	202
7	ესტონეთი	1315635	6852	5208	197
8	ფინეთი	5503297	78466	14258	539
9	საფრანგეთი	67024459	424919	6340	240
10	საბერძნეთი	10757293	50787	4721	178
11	უნგრეთი	9797561	36193	3694	140
12	ირლანდია	4774833	25070	5250	198
13	იტალია	60589445	287483	4745	179
14	ლატვია	1950116	6461	3313	125
15	ლიტვა	2847904	9342	3280	124
16	ლუქსენბურგი	590667	6221	10532	398
17	მალტა	440433	2114	4800	181
18	პოლანდია	17081507	103112	6036	228
19	პოლონეთი	37972964	127819	3366	127
20	პორტუგალია	10309573	45812	4444	168
21	რუმინეთი	19638309	43030	2191	83
22	სლოვაკეთი	543343	24371	44854	1695
23	სლოვენია	2065895	12789	6191	234
24	ესპანეთი	46528966	232038	4987	188
25	შვედეთი	9995153	124859	12492	472
26	აუსტრია	8772865	60813	6932	262

ცხრილი 2.19. ევროპის ქვეყნებში ელექტროენერჯის ფასები 2017 წელის პირველი კვარტალი. (სამომხმარებლო)

#	ქვეყნები	ტარიფები	ლარში	საქართველოსთან შედარებით
1	ბელგია	0,28	0,8316	362
2	ბულგარეთი	0,096	0,28512	124
3	ხორვატია	0,12	0,3564	155
4	კვიპროსი	0,186	0,55242	240
5	ჩეხეთი	0,144	0,42768	186
6	დანია	0,305	0,90585	394
7	ესტონეთი	0,121	0,35937	156
8	ფინეთი	0,158	0,46926	204
9	საფრანგეთი	0,169	0,50193	218
10	საბერძნეთი	0,194	0,57618	251
11	უნგრეთი	0,133	0,39501	172
12	ირლანდია	0,231	0,68607	298
13	იტალია	0,214	0,63558	276
14	ლატვია	0,159	0,47223	205
15	ლიტვა	0,112	0,33264	145
16	ლუქსენბურგი	0,162	0,48114	209
17	მალტა	0,128	0,38016	165
18	ჰოლანდია	0,156	0,46332	201
19	პოლონეთი	0,146	0,43362	189
20	პორტუგალია	0,228	0,67716	294
21	რუმინეთი	0,12	0,3564	155
22	სლოვაკეთი	0,144	0,42768	186
23	სლოვენია	0,161	0,47817	208
24	ესპანეთი	0,23	0,6831	297
25	შვედეთი	0,194	0,57618	251
26	ავსტრია	0,195	0,57915	252

(ცხრილში გამოყენებულია ევროსტატის მონაცემები და გადაყვანილია დღევანდელ კურსზე 01.04.2018)

2.2. საზოგადოება და ენერგოეფექტიანობა

აუცილებელია საზოგადოებამ გაათვითცნობიეროს ენერგეტიკაში ენერგოეფექტიანობის მნიშვნელობა. ენერგოეფექტიანობა ნიშნავს ნაკლები რაოდენობის ენერჯის გამოყენებას კონკრეტული სერვისისათვის. მაგალითად: ფლუროსცენტური ნათურა უფრო ნაკლებ ელექტროენერჯას მოიხმარს ვიდრე ჩვეულებრივი ვარვარა ნათურა, ხოლო ორივესგან ერთნაერი რაოდენობის სინათლე მიიღება. მსგავსად ამისა, ენერგოეფექტიანი ღუმელი მოიხმარს ნაკლებ საწვავს სახლის გასათბობად, ვიდრე ჩვეულებრივი ღუმელი, გამოყოფილი სითბო კი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ენერგოეფექტიანობას? მაგალითად:

- ენერგოეფექტიანობით შეიძლება ფინანსების დაზოგვა;
- მნიშვნელოვანი როლი აქვს, ქვეყნის ეკონომიკაში;
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემოს დაცვაში;
- ენერგოეფექტიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამატებითი ენერჯის წყაროდ;
- აძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას;
- უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი.

ამჟამად რას ფიქრობს საზოგადოება ენერგოეფექტიანობაზე? ჩემს მიერ 2015 წელს სოციალური მედიით ჩატარებული გამოკითხვით, კითხვაზე არის თუ არა ენერჯის დაზოგვა აუცილებელი, შემდეგია:

საჭიროა თუ არა ენერჯის დაზოგვა?

ა)კი 153 (93.9%)

ბ) არა 10 (6.1%)

უმეტესობა ფიქრობს, რომ ენერჯის დაზოგვა აუცილებელია, თუმცა პრაქტიკულად რამდენად ანხორციელებს სხვა საკითხია , ანუ ცდილობს თუ არა თითოეული მოქალაქე ვარვარა ნათურის ნაცვლად შეიძინოს, ფლუროსტენტური ნათურა, ან ჩვეულებრივი ღუმელის ნაცვლად, შეიძინოს ენერგოეფექტიანი ღუმელი. ენერჯის დაზოგვისთვის თითოეული დეტალი მნიშვნელოვანია, მაგალითად: უმიზეზოდ დარჩენილი ოთახში ანთებული ნათურა, ჩართული მდგომარეობაში დატოვებული და უფუნქციოდ დარჩენილი კომპიუტერი, ტელევიზორი და სხვა. თითოეულმა ამ დეტალმა მოქალაქეების ფინანსებზე დიდი ზეგავლენა შესაძლოა არ მოახდინოს, მაგრამ თითოეულმა ჩვენთაგანმა რომ გავისაზროთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პატარა დეტალებსაც კი, არა მხოლოდ ჩვენს ფინანსებზე, არამედ ქვეყნის ენერგეტიკაზე, ეკონომიკაზე და გარემოს დაცვაზე მნიშვნელოვნად აისახება.

რამოდენიმე ხნის წინ მერიის დაფინანსებით, თბილისის ერთ-ერთ რაიონში განხორციელდა პროექტი, საცხოვრებელი კორპუსის ცხელი წყლით მომარაგება მზის ენერჯის გამოყენებით. გამომდინარე იქიდან, რომ ზამთრის თვეებში მზიანი დღეები ნაკლებადაა და ტემპერატურა დაბალია, ამავე კორპუსზე დამონტაჟდა ბუნებრივ გაზზე მომუშავე დიდი სიმძლავრის წყლის გამათბობელი ქვაბი, რათა ზამთრის პერიოდში მუდმივად ყოფილიყო ცხელი წყალი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს საცხოვრებელი მრავალ ბინიანი შენობა არის ენერგოეფექტიანი. საინტერესოა შედარება ბუნებრივი გაზის მოხმარების კუთხით, ამ ენერგოეფექტიან შენობასა და ზუსტად ისეთივე არაენერგოეფექტიან შენობას შორის.

ცხრილი 2.20. ენერგოეფექტიანი და არაენერგოეფექტიანი შენობების გაზის ხარჯები

2016 წელი თვეები	ენერგოეფექტიანი შენობის გაზის ხარჯი მ ³		არაენერგოეფექტიანი შენობის გაზის ხარჯი მ ³
	შიდა მოხმარება	საერთო ქვაბის მოხმარება	
იანვარი	574	7221	6032
თებერვალი	787	4293	5168
მარტი	674	2725	3714
აპრილი	895	1043	3409
მაისი	468	475	1862
ივნისი	463	309	1235
ივლისი	332	134	1121
აგვისტო	295	25	824
სექტემბერი	243	393	646
ოქტომბერი	312	2384	965
ნოემბერი	553	5383	3286
დეკემბერი	685	8104	5884
ჯამი	6281	32489	34146

საინტერესოა ენერგოეფექტიანი შენობის ბუნებრივი გაზის ხარჯის წლიური ჯამი აღემატება, არაენერგოეფექტიანი შენობის წლიურ ხარჯს, თუმცა ენერგოეფექტიანი შენობის 34 მობინადრესთან გაყვანილია ცხელი წყლის მილები, ხოლო არაენერგოეფექტიან შენობაში იგივე სახის გამათბობლები ოღონდ ინდივიდუალურად დამონტაჟებულია 36 მობინადრედან მხოლოდ 14-თან, გაზზე მომუშავე გამათბობელი ასევე 14-

თან, ანუ ზამთრის პერიოდში ამ კორპუსში ბუნებრივ გაზს გასათბობად იყენებს 28 მობინადრე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ენერგოეფექტიან შენობაში 3-მა მობინადრემ უარი თქვა მზის ენერგიით გათბობაზე და დააყენა ინდივიდუალური გამათბობლები, ასევე 10-მა მობინადრემ უარი თქვა ცხელი წყლით მომარაგებაზე და უყენიათ ინდივიდუალური გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლები. ენერგოეფექტიან შენობაში ზამთრის პერიოდში 5 სახლი დაკეტილია და 3 მობინადრე არ მოიხმარს მზის ენერგიას, ანუ ამ კორპუსში ბუნებრივ გაზს გათბობისთვის მოიხმარს 26 მობინადრე, ამ მონაცემებით, რომ გამოვთვალოთ საშუალო წლიური ბუნებრივი გაზის მოხმარება შემდეგია:

ცხრილი 2.21. ბუნებრივი გაზის 2016 წლის წლიური და თვიური საშუალო მოხმარება ენერგოეფექტიან და არაენერგოეფექტიან შენობებში

	წლიური საშუალო	თვიური საშუალო
ენერგოეფექტიანი შენობა	1491	124
არაენერგოეფექტიანი შენობა	1004	83

ნახაზებიდან გამომდინარე , არაენერგოეფექტიან შენობაში უფრო ნაკლებ გაზს მოიხმარენ, ვიდრე ენერგოეფექტიან-ში. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? მოსახლეობის გამოკითხვით ბევრი ტექნიკური შეცდომაა დაშვებული მონტაჟის დროს, მაგალითად: ცხელი წყლის მილები შენობის გარე კედლებზეა გაყვანილი, რაც არაეფექტიანია, მიუხედავად მათი თბოიზოლაციით შეფუთვისა, ასევე ბოლომდე არ არის დასრულებული ფასადის თბოიზოლირება და სხვა დეტალები, რომლებიც კარგად რომ გაკეთებულიყო უმჯობესი იქნებოდა.

პროექტი განხორციელდა მერიის და სხვადასხვა ორგანიზაციების დაფინანსებით, რათქმაუნდა შეუძლებელია ქალაქის მერიამ თავის ხარჯებით, ყველა საცხოვრებელ კორპუსზე დაამონტაჟოს მზის ბატარეები. კარგი იქნებოდა, მოსახლეობას თავისივე ხარჯებით შეეძლოთ თავიანთივე საცხოვრებელი კორპუსის ენერგოეფექტიანად გახდომა, ამ შემთხვევაში

ჩადებულ ინვესტიციას წლების განმავლობაში ენერჯის დაზოგვით ამოიღებდნენ, საქართველოში ეს ძნელია, რადგან ქვეყანა ეკონომიკურად დაბალ დონეზეა და საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის, რისი ერთ-ერთი მაგალითიც სახეზეა, უკვე არსებულ ენერგოეფექტიან შენობაში რამოდენიმე მობინადრე უარს აცხადებს მზის ენერჯის გამოყენებაზე. პროექტი შეიძლება ითქვას, რომ იყო საცდელი. აუცილებელია ტექნიკური დეტალების დახვეწა და საზოგადოების გათვითცნობიერება.

2.3. საზოგადოება და ენერგოუსაფრთხოება

თითოეულ საგანს რასაც ადამიანი შეიძენს, აქვს მისი მოხმარების ინსტრუქცია, ასევე ენერგეტიკულ პროდუქტზე (ელექტრო ენერჯია, ბუნებრივი გაზი) აუცილებელია საზოგადოებამ გაითვალისწინოს ენერჯის მოხმარებისას დასაცავი უსაფრთხოების ზომები. ამხრივ ბუნებრივი გაზის კუთხით დიდი პრობლემა დედაქალაქში.

ბუნებრივი გაზის მოხმარებისას მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა, მაქსიმალურად დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები. უსაფრთხოება არ გულისხმობს, მხოლოდ ბუნებრივი გაზის მოპოვებისას, ტრანსპორტირებისას და განაწილებისას დაცულ ტექნიკურ ნორმებს, მნიშვნელოვანია თუ როგორ მოიხმარს მომხმარებელი მის მიერ შეძენილ გაზს და იცავს თუ არა ამ მოხმარებისას უსაფრთხოების წესებს. ამ თავში განხილულია თუ რა პრობლემებია ამ კუთხით დედაქალაქში, როგორია უსაფრთხოების წესების არდაცვით გამოწვეულ უბედურების სტატისტიკა, რა ღონისძიებები ტარდება ამის გამოსასწორებლად და რამდენად გონივრულად უდგება საზოგადოება ამ პრობლემას.

ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა CO₂-თი დაღუპულთა რიცხვი, რაც განპირობებულია ბუნებრივი გაზის მომხმარებლებთა უყურადღებობით და გაზზე მომუშავე დანადგარების არასწორად დამონტაჟებით. ბუნებრივი გაზის მოხმარებისას, მომხმარებლებმა

აუცილებლად უნდა დაიცვან უსაფრთხოების წესები, გამომდინარე იქედან, რომ ყველა გათვითცნობიერებული არ არის უსაფრთხოების წესებში და ბუნებრივ გაზზე მომუშავე დანადგარების ტექნიკურ მახასიათებლებში, ამიტომ დედაქალაქში ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი უმსხვილესი კომპანია „შპს ყაზტრანსგაზ თბილისი“ ყოველ წელს თითოეულ მომხმარებელთან ატარებს გეგმიურ გამაფრთხილებელ რევიზიას, ეს ნიშნავს, რომ თითოეულ მომხმარებელს ზეპირი ინსტრუქტაჟი უტარდება გაზის უსაფრთხო მოხმარებაზე, ხოლო ტექნიკური ნორმების დარღვევით დამონტაჟებულ დანადგარებს, კომპანიის წარმომადგენლის მიერ უწყდება გაზის მიწოდება. შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მონაცემებით 2017 წელს 31 038 მომხმარებელთან შეწყვიტა გაზის მიწოდება ტექნიკური ნორმების დარღვევით დამონტაჟებულ დანადგარებზე. მათივე მონაცემებით ზემოთ ხსენებული მომხმარებელთა 50%-ზე მეტმა თვითნებურად აღადგინა გათიშულ დანადგარებზე გაზის მიწოდება, რაც ნიშნავს, რომ გაზის მოხმარებას აგრძელებენ სიცოცხლის რისკის ფასად. რასთან გვაქვს საქმე და რა პრობლემაა ამ კუთხით დედაქალაქში? ძირითადად აღმოჩენილი დარღვევებია, საცხოვრებელ ფართში დამონტაჟებული ბუნებრივ გაზზე მომუშავე ღია კამერიანი წვის წყლის გამაცხელებელი ან გამათბობლები. როდესაც გაზის წვისთვის ჰაერი არ ჰყოფნის, იწყება გაზის არასრული წვა საიდანაც გამოიყოფა ნახშიროჟანგი (CO), რაც ადამიანზე მოქმედებს ძლიერ მომწამვლელად.

ცხრილი 2.22. ბუნებრივი გაზის მოხმარებისას უსაფრთხოების წესების არ დაცვით გამოწვეული უბედურების სტატისტიკა

წელი	მოწამვლა	აფეთქება, აალება	CO-თი
2015	65	4	31
2016	125	30	29
2017	53	6	22
სულ	243	40	82

თუ ადამიანი CO-ს შეისუნთქავს იწვევს სიკვდილს:

- 1% შემთხვევაში - 2-3 წუთში;
- 0,5% შემთხვევაში - 20-30 წუთში;
- 0,1% შემთხვევაში - 1 საათში;

მიუხედავად ამ ყველაფრის ცოდნისა მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი მაინც აგრძელებს საშიში დანადგარის მოხმარებას, აქედან გამომდინარე ნათელია რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის განათლების და ცნობიერების პრობლემა.

ბოლო სამ წელში 82 გარდაცვალებული და ათეულობით ათასი მომხმარებელი ამ საფრთხის წინაშე, ესაა დღევანდელი პრობლემა. ფაქტია, რომ მხოლოდ კომპანიის მიერ ჩატარებული გეგმიურ გამაფრთხილებელი რევიზიით ეს პრობლემა არ გამოსწორდება. აუცილებელია საზოგადოების განათლება, რადგან ხალხს ინფორმაცია აქვს, რა არის კარგი და რა ცუდი, შესაბამისად მომხმარებელი უბედურება მათ კისერზეა, რადგან მათი არჩევანია გააგრძელონ თუ არა სიცოცხლისთვის საშიში დანადგარის მოხმარება მათ საცხოვრებელ ფართში. იმის გათვალისწინებით, რომ პირადად მიწევს გეგმიურ გამაფრთხილებელი რევიზიის ჩატარება, რაც წელიწადში ოთხი ათასამდე მომხმარებელს მოიცავს, მომხმარებელთა მიდგომა ამ პრობლემის მიმართ შემდეგია:

1. იცის რომ საშიშია ზემოთ ხსენებული დანადგარი, იცის რომ ამით რისკავს სიცოცხლეს, თუმცა ცხელი წყალი სჭირდება და უსაფრთხო დანადგარის შექმნის საშუალება არ აქვს.
2. მობინადრე საცხოვრებელ ფართში ქირითაა და მეპატრონე არ ცვლის დანადგარს.
3. ათი წელია ამ დანადგარს მოიხმარს, აქამდე არაფერი უქნია და რაღა ახლა მოწამლავს.
4. დანადგარის მოხმარებისას ალებს ფანჯარას და ფიქრობს რომ ესე უსაფრთხოა.

ესენი და სხვა ამდაგვარი არგუმენტები აქვთ მომხმარებლებს როცა შემოწმების დროს უთიშავ საშიშ დანადგარებს. ზემოთ მოყვანილი

ცხრილიდან შეიძლება ითქვას, რომ CO ქალაქში სერიული მკვლელივითაა და ის მანამ გააგრძელებს თავის მკვლელობებს, სანამ ხალხის გონებამდე არ დავა ის აზრი, რომ არ შეიძლება CO- სთან თამაში, ის კლავს და მომხმარებელმა არ უნდა გარისკოს თავისი და თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლე, თავის საცხოვრებელ ფართში საშიში დანადგარის მოხმარებით.

აუცილებელია ბუნებრივი გაზის მომხმარებლებმა იცოდნენ, რომ კატეგორიულად აკრძალულია:

- ისეთი, ბუნებრივ გაზზე მომუშავე დანადგარების დამონტაჟება სახლში, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან (არ იგულისხმება გაზქურა);
- არაქარხნულად დამზადებული გაზის ხელსაწყოების გამოყენება;
- გაზზე მომუშავე დანადგარების და გაზის ქსელის თვითნებური მონტაჟი;
- გაზის ქსელის: ცემენტის, შპალერის, გაჯის და ა.შ. ქვეშ მოყოლება;
- ბუნებრივი გაზის მოხმარება ჩამკეტი მოწყობილობის გარეშე;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეტესადაც ურეოდ დატოვება;
- ღია ცეცხლის გამოყენება, გაზის გაჟონვის აღმოჩენის მიზნით;
- საძინებელში, გაზის დანადგარების დამონტაჟება და გამოყენება (არ იგულისხმება სახელმწიფო სტანდარტის გამთბობი ღუმელები)
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- ნებისმიერი გაზის დანადგარის (განსაკუთრებით წყლისგამაცხელებლის) დამონტაჟება სააბაზანოში;

ასევე აუცილებელია ბუნებრივი გაზის მომხმარებლებმა გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

- გაზის დანადგარებისთვის განკუთვნილი რეზინის მილები, უნდა იყოს მთლიანი (გადაბმების გარეშე)
- ოთახი სადაც დამონტაჟებულია გაზის დანადგარები უნდა ნიავედებოდე ბუნებრივად;

- ღიაწვის კამერის მქონე წყლისგამაცხელებელი არ უნდა დამონტაჟდეს საცხოვრებელ ფართში;
- კვალიფიკაციის არმქონე პირზე, გაზის დანადგარების მონტაჟის მინდობა არ შეიზღება;
- რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს კვამლსადენის წნევა;
- სახლსი გაზის სუნის შემჩნევისას, უნდა შეწყდეს გაზის მოხმარება, განიავდეს სატავსო (ამ დროს არ შეიძლება ელექტრომოწყობილობების გამოყენება) და დაუყოვნებლივ უნდა მიემართოს შესაბამის სამსახურს;
- სახლიდან გასვლის შემთხვევაში ჩამკეტები უნდა იყოს დაკეტილი;
- აბონენტები პასუხისმგებლები არიან გაზის დანადგარების უსაფრთხოდ მოხმარებაზე.

თავი III. ენერგეტიკაში საზოგადოების განათლების ამაღლების ძირითადი მიმართულებები

3.1. სტრატეგიული ამოცანები

ენერგეტიკის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების განათლება, და მათზე ინფორმაციის, დროულად და ხარისხიანად მიწოდება. აუცილებელია განისაზღვროს საზოგადოებაზე ინფორმაციის მიწოდების გზები და ამ ინფორმაციის მნიშვნელობა, ხალხისთვის და ენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის. მაგალითად: მოსახლეობას რომ ვკითხვით, რომელი ენერგეტიკული რესურსის გამოყენება ჯობია, ქარის, მზის თუ ჰიდრო, თბო; რათქმაუნდა პასუხი მის საფასურთან ერთად იქნება, გარემოსთვის ნაკლებად საზიანო რესურსი. რათქმაუნდა ყველას გვინდა ეკოლოგიურად სუფთა და გარემოსთვის არასაზიანო ენერგია, მაგრამ რამდენად არის ეს დღეს ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი, ეს სხვა საკითხია. ხალხს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არატრადიციული ენერგეტიკული რესურსის გამოყენება ენერგეტიკაში ჯერ-ჯერობით ჯდება ძვირი, ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად დაბალ დონეზეა და ჯერ ფინანსურად მზად არ არის, მთელი ყურადღება გადავიდეს ალტერნატიულ ენერგორესურსებზე. საქართველო ჰიდრო რესურსით მდიდარია და შესაძლებელია ამ რესურსის გამოყენებით გახდეს ელექტროენერგიით დამოუკიდებელი ქვეყანა, ასევე ამ რესურსით შესაძლებელია არამცთუ ელექტროენერგიის შიდა მოხმარება დაკმაყოფილდეს, არამედ ენერგია გამოვიმუშაოთ ჭარბად. შესაძლებელია ჭარბი ენერგის იმპორტზე გატანა , რაც დამატებით შემოსავალს იძლევა ქვეყნისთვის, ან ამ ენერგის შიდა წარმოების განვითარებისთვის გამოყენება. როცა ქვეყანა ენერგეტიკულად ძლიერი იქნება, ეს პირდაპირ იმოქმედებს მის ეკონომიკაზე, ხოლო ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას არ გაუჭირდება გარემოსთვის მავნე ენერგიის ჩანაცვლება სუფთა ენერგიით.

საზოგადოებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თავისი ქვეყნის ენერგეტიკული რესურსის შესახებ, უნდა იცოდეს ენერგეტიკის მნიშვნელობა ქვეყნისთვის და უნდა ერკვეოდეს ენერგეტიკის განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნებში.

საზოგადოებაზე ინფორმაციის მიწოდების ყველაზე კარგი საშუალება მედიაა. მედიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის და ხალხის ცნობიერებისთვის. ენერგეტიკის განვითარებაში მედია დიდ როლს თამაშობს, მასზეა დამოკიდებული რამდენად ობიექტურად მიაწვდის ხალხს, ენერგეტიკაში არსებულ მოვლენების შესახებ ინფორმაციას, მაგალითად: როდესაც დაგეგმილია დიდი ზომის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა და ამას აკრიტიკებს საზოგადოება, მნიშვნელობა აქვს თუ როგორ ობიექტურად გააშუქებს ამ მოვლენას მედია, თუ მედიაში ყურადღება იქნება გამახვილებული, მხოლოდ ხალხის კრიტიკაზე და მათ საპროტესტო აქციებზე, საზოგადოება დაინახავს მხოლოდ უარყოფით მხარეს ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. ენერგეტიკაში როცა საქმე გვაქვს რაიმე დიდ პროექტთან ან მოვლენასთან, აუცილებელია გაშუქებული იყოს მისი დადებითი და უარყოფითი შეფასებები თანაბრად, ანუ თუ უარყოფით მხარეს დაეთმობა მეტი დრო და უფრო მეტად გაშუქდება, ვიდრე დადებითი, საზოგადოების შეფასება ამ მოვლენის მიმართ არ იქნება სამართლიანი და ადეკვატური, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს პროგრეს ან სულაც დაგვაკარგვინოს მილიარდობით ინვესტიცია.

ენერგეტიკასა და საზოგადოებაში უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზია ენერგეტიკული ტარიფები. ენერგეტიკულ საწარმოებს მაგალითად:

ელექტროენერჯის:

- გენერაცია
- გადაცემა
- დისპეჩერიზაცია
- განაწილება

სჭირდება ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური შემოსავლები, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროსადგურები ვერ შეძლებენ ელექტრო ენერჯის წარმოებას, გადაცემისა და დისპეჩერიზაციის კომპანია დროულად ვერ გამოცვლის ელექტროსადგენს, რაც გამოიწვევს ენერჯის შეზღუდვას, განაწილების ლიზენზიატი დროულად ვერ აღმოფხვრავს დაზიანებას, რაც ასევე გამოიწვევს ენერჯის შეზღუდვას. ეს მცირე ჩამონათვალია იმისა თუ რას გამოიწვევს ტარიფის არასწორი დადგენა. ენერჯეტიკაში არ შეიძლება ტარიფის პოლიტიკური ნიშნით დადგენა, ეს გამოიწვევს დარგის რეგრესს. თუ სახელმწიფო ჩაერევა ტარიფის დადგენაში და შეგნებულად შეამცირებს ტარიფს კომპანიების ხარჯზე, ამით შეიძლება საზოგადოების გული მოიგოს იმ პერიოდში, მაგრამ ეს სამომავლოდ იქნება დარგში ხარვეზების და პრობლემების შექმნის მიზეზი, რაც საზოგადოებაში ორმაგ უკმაყოფილებას გამოიწვევს. აქაც მედია თამაშობს დიდ როლს, მედიამ უნდა დაანახოს საზოგადოებას თუ რა შედეგამდე მიგვიყვანს ტარიფის არასწორი დადგენა.

ენერჯეტიკის განვითარებისთვის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება ენერჯეტიკული პროფილით, მათი გაძლიერება და ხშირად ჩართულობა დარგში მიმდინარე პროცესებში. კარგია არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც იქნება აპოლიტიკური, რომლის ინტერესი იქნება დარგის განვითარება, მასში არსებული პრობლემების ძიება, საზოგადოების ნდობის მოპოვება. გამომდინარე იქიდან, რომ ენერჯეტიკის სექტორი ძლიერია და მასში სოლიდური თანხა ტრიალებს, არასამთავრობოებს რომლებიც დარგის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, არ უნდა გაუჭირდეთ დაფინანსებების მიღება. რაც უფრო მეტი ორგანიზაციები იქნება ენერჯეტიკის სექტორში, მით უფრო გაღრმავდება საზოგადოების ნდობა ენერჯეტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. მაგალითად: როცა ენერჯეტიკულ პროდუქტის ტარიფების ზრდაზე მარეგულირებელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას, პოლიტიკოსების მხრიდან იწყება ამ

თემით მანიპულირება, კერძოდ არაობიექტურმა ოპოზიციურმა პარტიამ რაც არ უნდა იცოდეს რომ ეს გადაწყვეტილება ადეკვატურია და სამართლიანი, მაინც ცდილობს მისით საზოგადოების აზრის შეცვლას და მათ უარყოფითად განწყობას მმართველი პარტიის მიმართ, ამ დროს საზოგადოებისთვის უფრო ადვილი დასაჯერებელია ის, რომ ტარიფი არ უნდა გაზრდილიყო და მათ ატყუებენ. მარეგულირებელ ორგანოს ასოცირებენ სახელმწიფოსთან და ქვეყანაში ფონი იქმნება იმისა, რომ მთავრობამ გაზარდა ტარიფები და ხალხზე არავინ ზრუნავს. ამიტომაც საჭირო არასამთავრობის გაძლიერება და მათი ჩართულობა დარგში მიმდინარე პროცესებში, როცა ხალხი ხედავს, რომ გადაწყვეტილების მიღებაში ან მიღებული გადაწყვეტილების განხილვაში ბევრმა ორგანომ მიიღო მონაწილეობა, ნდობის ფაქტორი უფრო მეტია.

საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დროულად და არა როცა გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ხალხში უნდობლობას იწვევს, როცა მათი აზრის გარეშე სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, ამ დროს იწყება ფიქრი იმისა, რომ იცოდნენ გადაწყვეტილება ხალხისთვის საკეთილდღეო არ იყო და ამიტომ არ ჩაგვაყენეს დროულად საქმის კურსში, მაგრამ თუ ხალხი დროულად მიიღებს ინფორმაციას, მაშინ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს იმედი ხალხის, რომ მათი გადაწყვეტილება იქნება ოპტიმალური და ქვეყნის ენერგეტიკისთვის კარგი, ხოლო აქ უკვე საჭიროა საზოგადოების განათლება რათა მათ შეძლონ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

ენერგეტიკაში საზოგადოებრივი განათლების ამაღლებისთვის აუცილებელია, სხვადასხვა რეფორმების გატარება და ხალხის ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა. დღესდღეობით მსოფლიოში ფართოდა გავრცელებული სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი, ასევე საქართველოში, შეიძლება ითქვას რომ სოციალური მედიის და სოციალური ქსელების საშუალებით, საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მიაწოდო სწორი ინფორმაცია, მაგალითად: დაგეგმილია რაიმე დიდი ზომის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვანია

ქვეყნის ენერგეტიკაში, არის საშიშროება იმის, რომ იმ რეგიონში სადაც ჰესი შენდება, მოსახლეობამ გამოთქვას უკმაყოფილება, ხოლო ამით ისარგებლოს პოლიტიკურმა ძალებმა ან თუნდაც სხვა ქვეყნის შემოგზავნილმა პარტიებმა და ხალხს მოუწოდონ საპროტესტო აქციებისკენ, რათა არ მოხდეს დიდი ზომის ჰესის მშენებლობა, ამ დროს სახელმწიფომ და ინვესტორმა უნდა იმუშაონ ჰესის დადებითი მხარების ერთად შეკრებაზე და ამის საზოგადოებისთვის გაცნობაზე, ამის გასაკეთებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება სოციალური მედია, ამ საშუალებით შესაძლებელი იქნება ხალხის დიდ მასამდე ინფორმაციის მიტანა.

ენერგეტიკის სამინისტროს ვებ გვერდზე დადებულია ასაშენებელი პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტები, რაც გამზადებულია ინვესტორებისთვის, და სურვილის შემთხვევაში ყველას აქვს მისით დაინტერესების უფლება. საინტერესოა რა მაშტაბებთან გვაქვს საქმე. (იხ. ცხრილი 3.1)

2017 წლის მონაცემებით საქართველოს ელექტროენერგეტიკაში ჯამური დადგმული სიმძლავრეა 4,112.27 მგვტ, ხოლო 2017 წელს მოხმარება იყო 11 875,30 მლნ.კვტ/სთ, ხოლო წარმოება 11 315,74 მლნ.კვტ/სთ. ცხრილში 3.1.-ში ნაჩვენებია საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურები, სადაც ჩანს, რომ ამ პროექტების შესრულებით დადგმული სიმძლავრე გაიზრდება 37%-ით , ხოლო წლიური წარმოება 65 %-ით. საკმაოდ კარგი მონაცემებია, თუმცა ამ პროექტებს შესრულება სჭირდება. საყურადღებოა ის ფაქტორი, რომ წყალსაცავიანი ჰესების რაოდენობა არის 6 , ხოლო დანარჩენი ჰესები დამოკიდებული იქნება სეზონზე. დადგმულის სიმძლავრე 13 მეგვტ-ზე მეტი ჰესების რაოდენობაა 26, ანუ დანარჩენი ჰესები იქნება დერეგულირებული.

საქართველოს აქვს 98 ჰესის ასაშენებლად გამზადებული პროექტი და ელოდება ინვესტორს, დაახლოებით რომ განვსაზღვროთ თუ რა დრო დასჭირდება ამას, სანამ ინვესტორს მოვიძიებთ და სანამ ეს აშენდება შესაძლოა 20-მა წელმაც გაიაროს. ინვესტორისთვის ნაკლებად საინტერესოა

პატარა ჰესები, რადგან შედარებით ძვირი ჯდება და მათზე ტარიფი უფრო დიდია, ანუ არის იმის საშიშროება რომ წარმოებული ელექტროენერგია ვერ გაყიდოს. ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველია დიდი ჰესები.

ცხრილი 3.1. საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურები.

დაგეგმილი პროექტები				
#	ჰესების დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	საშუალო წლიური გამომუშავება (მლნ. კვტ.სთ)	რეგულირების სახეობა
1	აბულიჰესი	22,2	119	მოდინებაზე
2	არაგვიჰესი 1	6,75	31,96	მოდინებაზე
3	არაგვიჰესი 2	8,66	50,08	მოდინებაზე
4	აწყური ჰესი	10,4	55,5	მოდინებაზე
5	ალჰანა ჰესი	60	255	წყალსაცავი
6	ბარამიძე 2ჰესი	5	23,9	მოდინებაზე
7	ბახვი ჰესი 1	15	78,4	წყალსაცავი
8	ბახვი ჰესი 4	1	5,6	მოდინებაზე
9	ბახვი ჰესი 5	2	9,34	მოდინებაზე
10	ბორითი ჰესი	6,4	33,8	მოდინებაზე
11	ბოსლევი ჰესი	8	34,9	მოდინებაზე
12	ბჟუჟა ჰესი	5,3	24,1	მოდინებაზე
13	ბუზრები ჰესი	4,11	21,02	მოდინებაზე
14	გორდი ჰესი	11,1	35,7	მოდინებაზე
15	გუბაზეული ჰესი 1	3	20	მოდინებაზე
16	დვირი ჰესი	10,4	55,5	მოდინებაზე
17	დიდომ ჰესი	17,5	95	მოდინებაზე
18	დურუჯი ჰესი	1,7	10,7	მოდინებაზე
19	ენგურ ჰესი 1	5,5	22,4	მოდინებაზე
20	ენგურ ჰესი 2	21,2	90,3	მოდინებაზე
21	ენგურ ჰესი 3	12,1	50	მოდინებაზე
22	ენგურ ჰესი 4	12,7	54,1	მოდინებაზე
23	ეშმაკისდელე ჰესი	4,78	21,86	მოდინებაზე
24	ვალე ჰესი	8,57	35,29	მოდინებაზე
25	ზარზმა ჰესი	4,3	19,8	მოდინებაზე
26	ზესტაფონი ჰესი 1	4,22	20,15	მოდინებაზე
27	ზესტაფონი ჰესი 2	4,22	20,5	მოდინებაზე
28	ზესტაფონი ჰესი 3	6,29	38,61	მოდინებაზე
29	ზესტაფონი ჰესი 4	6,29	38,41	მოდინებაზე
30	ჩესხო ჰესი	25,3	119	მოდინებაზე
31	თერგი ჰესი	26,3	136,6	მოდინებაზე
32	თრუსო ჰესი	8,7	40,9	მოდინებაზე
33	იორი ჰესი	9,7	54	წყალსაცავი
34	კისისხევი ჰესი	4,5	18,09	მოდინებაზე
35	კობი ჰესი	3,9	18,4	მოდინებაზე
36	კობი ჰესი	11,2	43,1	მოდინებაზე
37	ლარაკვაკვა ჰესი	6,4	23,2	მოდინებაზე
38	ლებარდე ჰესი1	4,56	19,8	მოდინებაზე
39	ლებარდე ჰესი2	4,16	17,5	მოდინებაზე
40	ლესულუხე ჰესი	5,7	24,9	მოდინებაზე
41	ლუხუნი ჰესი 1	10,8	66,07	მოდინებაზე
42	ლუხუნი ჰესი3	7,5	46,03	მოდინებაზე
43	მაგნა ჰესი 1	13,5	52,25	მოდინებაზე
44	მანჩხაპური ჰესი	6,7	27,7	მოდინებაზე
45	მარელოსი ჰესი	4,6	19,7	მოდინებაზე
46	მადაროსკარი ჰესი	26,35	119,32	მოდინებაზე
47	მაშავერა ჰესი	4,5	22,19	მოდინებაზე

48	მახურაჰესი	28,5	114,5	მოდინებაზე
49	მედანი ჰესი	4,4	23,9	მოდინებაზე
50	მოცმო ჰესი	6,94	32,99	მოდინებაზე
51	მტკვრის კასკადი1	62,4	236,36	მოდინებაზე
52	მტკვრის კასკადი2	74,2	345,8	მოდინებაზე
53	მტკვრის კასკადი3	96,8	456,46	მოდინებაზე
54	მტკვრის კასკადი4	78,1	614,9	მოდინებაზე
55	მუსხი ჰესი	2	8	მოდინებაზე
56	მუშხი ჰესი	3,07	14,18	მოდინებაზე
57	ნადუენარი ჰესი	8,9	48,49	მოდინებაზე
58	ნაკი ჰესი	6,9	28,45	მოდინებაზე
59	ნატანები ჰესი 1	6,2	43	მოდინებაზე
60	ნატანები ჰესი 2	9,45	41	მოდინებაზე
61	ნოდაში ჰესი	4,2	17,7	მოდინებაზე
62	სადმელის კასკადი1,2	130	552	წყალსაცავი
63	სალიეთი ჰესი	3,6	18,2	მოდინებაზე
64	სანახშირე ჰესი	10,8	47,4	მოდინებაზე
65	საყუნეთი ჰესი	10,4	55,5	მოდინებაზე
66	სტორი ჰესი	8	38,4	მოდინებაზე
67	სტორი ჰესი2	11,4	50,5	მოდინებაზე
68	სტორი ჰესი3	13,7	60,6	მოდინებაზე
69	სურები ჰესი 2	8,6	47,1	მოდინებაზე
70	ტეხური ჰესი1-6	19	112	მოდინებაზე
71	ტეხურის კასკადი	112,39	653,25	წყალსაცავი
72	ურაველ ჰესი 1	4,3	16,5	მოდინებაზე
73	ურაველ ჰესი 2	5,7	16	მოდინებაზე
74	უბისაჰესი	7,6	35	მოდინებაზე
75	უტვირი ჰესი	4,8	20,5	მოდინებაზე
76	ღვედი ჰესი	2,8	11,2	მოდინებაზე
77	ყვირილა ჰესი	8	34,7	მოდინებაზე
78	ჩემურა ჰესი	7,5	32,4	მოდინებაზე
79	ჩახერი ჰესი	17,8	68	მოდინებაზე
80	ცხენისწყალი ჰესი1	20,4	95,3	მოდინებაზე
81	ჭანჭახი ჰესი	20	89,6	მოდინებაზე
82	ჭელა ჰესი	8,7	24,18	მოდინებაზე
83	ხანი ჰესი1	6,2	28,7	მოდინებაზე
84	ხანი ჰესი2	4	18,1	მოდინებაზე
85	ხანი ჰესი3	6,8	31,2	მოდინებაზე
86	ხანი ჰესი4	10,1	55,3	მოდინებაზე
87	ხანი ჰესი5	5,8	31,9	მოდინებაზე
88	ხანი ჰესი7	6,4	48,1	მოდინებაზე
89	ხელდულა ჰესი 1	18,8	94,3	მოდინებაზე
90	ხელდულა ჰესი 2	20,1	95,3	მოდინებაზე
91	ხელვაჩაური ჰესი	28,93	128,99	მოდინებაზე
92	ხვეშხი ჰესი	5	22,14	მოდინებაზე
93	ხოფური ჰესი	7,9	31,5	მოდინებაზე
94	ხუმირერი ჰესი	37,4	153,3	მოდინებაზე
95	ხუნევი ჰესი	11	61,6	წყალსაცავი
96	ჯრია ჰესი	9,2	53,1	მოდინებაზე
97	ჯუთა ჰესი	8,9	42	მოდინებაზე
98	ჯონოული 2 ჰესი	32	129,2	მოდინებაზე
	ჯამი	1519,4	7368,46	

საქართველოს აქვს პოტენცია დიდი ჰესის აშენებისა, ეს არის ხუდონ ჰესი რომლის დადგმული სიმძლავრე 700 მგვტ-ია, ზემოთ ხსენებული ჰესების ჯამური დადგმული სიმძლავრის 46%, რომლის აშენება მოკლე

დროში ამ ეტაპზე უფრო რეალურია, ვიდრე ზემოთ ხსენებული ჰესებისა. ასევე საქართველოს აქვს უკვე ჰესი „ენგურჰესი“ რომლის დადგმული სიმძლავრე 1200 მგვტ-ია, რაც ცხრილში ნაჩვენებია ჰესების 79%-ია.


ენერგეტიკის განვითარებაში, საზოგადოების განათლება რომ არ იყოს ხელისშემშლელი, ხალხი რეგულარულად უნდა ღებულობდეს, არანაკლებ შემდეგი სახის ინფორმაციებს:

- ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების შესახებ
- დაგეგმილი ინვესტიციების შესახებ
- ენერჯის წარმოების შესახებ
- ენერჯის მოხმარების შესახებ
- ენერჯის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ
- დარგში მოქმედი ენერჯო კომპანიების შესახებ
- ტარიფების მნიშვნელობის შესახებ
- არსებული რესურსების პრიორიტეტების შესახებ
- ენერჯოეფექტიანობის შესახებ
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ
- ენერგეტიკის მნიშვნელობის შესახებ და ა.შ.

როცა საზოგადოებას ექნება ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ, მათ არ უნდა გაუჭირდეთ საჭირო დროს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.


ენერგეტიკის განვითარებისთვის, აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების ენერგეტიკულ განათლებას და მათ ინფორმირებულობას. ნახაზში ნაჩვენებია ენერგეტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები.

საზოგადოების განათლება მნიშვნელოვანია, ენერგეტიკის განვითარებისთვის, ეს თავის მხრივ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ძლიერი ეკონომიკა მნიშვნელოვანია ხალხისთვის, საბოლოოდ ყველაფერი ერთმანეთთანაა კავშირში.



ნახაზი 3.1. ენერგეტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები

დღესდღეობით, ქვეყანას და ენერგეტიკას საზოგადოების დახმარება და გვერდში დგომა სჭირდება. როდესაც იწყება ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების დახარისხება ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების განათლების მნიშვნელობა ამ ყველაფერში.



ნახაზი 3.2. ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნები

3.2. სოციალური მედიის გამოყენება ენერგეტიკაში

საზოგადოება სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია და მისი გამოყენებით შესაძლებელია ხალხის დიდ მასამდე ინფორმაციის მიტანა ნებისმიერ დროს. წინა წლებში ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო ფორმა ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები იყო, დღეს-დღეობით სოციალური ქსელით მაგ: facebook, twitter და სხვა საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის მიღება ნებისმიერ ადგილას ტელეფონის გამოყენებით, ინფორმაციის მიღებისთვის აღარ არის საჭირო მხოლოდ გაზეთის შეძენა ან სამსახურიდან მოსვლა და ტელევიზორის ჩართვა. კომერციული საქმიანობისთვის და ბიზნესისთვის დღეს-დღეობით სოციალური მედია მარჯვენა ხელია და თითქმის ყველა კომპანია იყენებს მას ბიზნესის რეკლამისთვის და ხალხზე ინფორმაციის მიწოდებისთვის. მაგალითად: სოციალური მედია შეიძლება გამოიყენოს ლუდის ქარხანამ, პროდუქტის რეკლამისთვის, რათა მისი რეალიზაცია გაიზარდოს, მაგრამ ჩნდება კითხვა, რაში უნდა დაჭირდეს ენერგოკომპანიებს რეკლამა, როდესაც მათ არ უჭირთ წარმოებული ან შეძენილი ენერჯის გაყიდვა და მარეგულირებელი ორგანო ხელოვნურად ქმნის კონკურენტულ გარემოს. ენერგეტიკაში სოციალური მედია შეიძლება გამოყენებული იქნეს:

- საზოგადოებაზე ინფორმაციის დროულად მიწოდებისთვის;
- საზოგადოების ენერგეტიკული განათლების და ცნობიერების ამაღლებისთვის;
- ენერგოკომპანიების მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის;

საინტერესო იყო შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ სოციალური ქსელის, facebook-ის გამოყენება საზოგადოებასთან ურთიერთობაში. დედაქალაქში ხშირი იყო წყლის მიღების დაზიანება, რის გამოც სხვადასხვა უბნებში ხშირად წყდებოდა წყლის მიწოდება, რაც საზოგადოებაში იწვევდა აგრესიას და უკმაყოფილებას. კომპანია, facebook-

ის საშუალებით მომხმარებელს აწვდიდა ინფორმაციას, თუ რა ეტაპზე იყო სარემონტო სამუშაოები და ამისთვის ვიდეორგოლებსაც იყენებდა, ამან საზოგადოების აგრესია შეცვალა პოზიტიური განწყობით. ხალხზე ინფორმაციის დროულად მიწოდებამ ერთი-ორად გაზარდა მომსახურების ხარისხი.

საინტერესოა შპს“ყაზტრანსგაზ თბილისის“ მიერს facebook-ის გამოყენება: ბუნებრივ გაზზე მომუშავე დანადგარების არასწორად დამონტაჟების გამო მსხვერპლთა რიცხვი დიდია, კომპანიამ facebook-ის საშუალებით მომხმარებლებს გაუწია კონსულტაცია და მიაწოდა ინფორმაცია, ვიდეორგოლებით და პოსტებით მომხმარებლებს ანახა, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს გაზზე მომუშავე დანადგარების არასწორად დამონტაჟებით.

ენერგეტიკაში საინტერესოა ამჟამად სოციალური მედიის გამოყენების რა მაშტაბებთან გვაქვს საქმე, მაგალითად: facebook-ზე შესაძლებელია რომელიმე კომპანიის გვერდზე შესვლა და ნახვა იმისა თუ რამდენი ადამიანი ღებულობს ინფორმაციას ამ გვერდიან .

ცხრილი 3.2. ენერგოკომპანიის facebook გვერდის მომხმარებელთა რაოდენობა.(2018 წლის აპრილის თვის მონაცემები)

ენერგოკომპანიები	მომხმარებელთა რაოდენობა facebook-ზე
შპს“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	97327
სს „ენერგო პრო ჯორჯია“	10671
სს“თელასი“	9734
შპს“სოკარ გაზი“	5186
სემეკი	4315
შპს „ყაზტრანსგაზ თბილისი“	3465

სოციალური მედიის გამოყენებით შესაძლებელია, ენერგეტიკაში მოხდეს ენერგოეფექტიანობის პოპულარიზაცია. მაგალითად: ნეტო-აღრიცხვის პროგრამა, მომხმარებელს აძლევს საკუთარი

ენერგომოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას, ხოლო ჭარბად წარმოებულ ენერგია გაიცემა ქსელში და ხდება შესაბამისი ანგარიშსწორება. შესაძლებელია მოხდეს ნეტო აღრიცხვის პროგრამის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების დაწერა საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე და შემდეგ ამ ინფორმაციის გავრცელება სოციალური მედიით.

ენერგეტიკული რესურსების ათვისების დროს შესაძლებელია სოციალური მედიის გამოყენება. მაგალითად: როცა იგეგმება ჰესის მშენებლობა მას სჭირდება პროექტი და ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, პროექტში აუცილებლად განხილული უნდა იყოს საზოგადოებაზე სწორი ინფორმაციის მიწოდების გზები, ხოლო აქ შესაძლებელია სოციალური ქსელის გამოყენება.

3.3. ხუდონი ჰესი და საზოგადოება

იმისათვის რომ საქართველო ელექტროენერგიით დამოუკიდებელი ყოფილიყო ხუდონ ჰესი თავის დროზე უნდა აშენებულიყო. საზოგადოების პროტესტის შედეგად 1989 წელს ივნისში საბჭოთა საქართველოს მთავრობამ სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ბრძანებულება გამოსცა. ხუდონჰესის აშენების მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტი, რომ არ აკმაყოფილებთ ჰესის დადებითი მხარეები და არ ღირს მისი აშენება. საინტერესოა კვლევა, ენერგეტიკულ ბალანსში წინა წლებში რას შეცვლიდა ხუდონი ჰესის დადგმული სიმძლავრე და წლიური გამომუშავება.

საწყის ეტაპად ავიღოთ XXI საუკუნის დასაწყისი და წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობით განვსაზღვროთ თუ რა გავლენა ექნებოდა ხუდონი ჰესს ელექტროენერგეტიკულ ბალანსში.

ხუდონი ჰესის გავლენა ელექტროენერგიის წარმოებაზე:

ცხრილი 3.3. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერჯის წარმოების შედარება 2000-2017 წლებში

წლები	სულ იყო წარმოება მლნკვტ/სთ	ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში იქნებოდა მლნკვტ/სთ	ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში გაიზარდებოდა წარმოება %
2000	7446	8946	20
2001	6942	8442	22
2002	7045	8545	21
2003	7163	8663	21
2004	6706	8206	22
2005	7100	8600	21
2006	7419	8919	20
2007	8169	9669	18
2008	8279	9779	18
2009	8278	9778	18
2010	9919	11419	15
2011	9912	11412	15
2012	9471	10971	16
2013	9860	11360	15
2014	10369	11869	14
2015	10592	12092	14
2016	11364	12864	13
2017	11315	12815	13

2000-2017 წლებში ხუდონი ჰესის არაშენებით საშუალოდ ყოველ წელს დაკარგეთ 18% გაზარდილი წარმოებული ელექტროენერჯია.

ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში 2000-2017 წლებში საშუალოდ 21%-ით გადააჭარბებდა ელექტროენერჯის წარმოება მოხმარებას.

თუ გავითვალისწინებთ ელექტროენერჯის მოხმარების ყოველწლიურად 3%-იან ზრდას 2025 წელს მოხმარებამ უნდა შეადგინოს 15043 მლნკვტ/სთ, რაც დღევანდელ ელექტროენერჯის წარმოებას აღემატება 3728მლნკვტ/სთ-ით. ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში ეს ციფრი იქნება 2228 მლნკვტ/სთ.

2000 წელს რომ ხუდონ ჰესი აშენებული ყოფილიყო, ელექტროენერჯის წარმოების მაჩვენებელი გადააჭარბებდა 2008 წლის მაჩვენებელს.

ცხრილი 3.4. ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერჯის წარმოების და მოხმარების შედარება 2000-2017 წლებში

	ფაქტიური ბალანსი			ხუდონი ჰესის აშენების შემთხვევაში შესაძლო ბალანსი		
	წარმოება	მოხმარება	წარმოების	წარმოება	წარმოება და	წარმოების
2000	7446	7847	-401	8946	1099	14
2001	6942	6149	793	8442	2293	37
2002	7045	6369	676	8545	2176	34
2003	7163	6691	472	8663	1972	29
2004	6706	7404	-698	8206	802	11
2005	7100	7842	-742	8600	758	10
2006	7419	7879	-460	8919	1040	13
2007	8169	7812	357	9669	1857	24
2008	8279	8074	205	9779	1705	21
2009	8278	7640	638	9778	2138	28
2010	9919	8441	1478	11419	297 8	35
2011	9912	9256	656	11412	2156	23
2012	9471	9379	92	10971	1592	17
2013	9860	9690	170	11360	1670	17
2014	10369	10170	199	11869	1699	17
2015	10592	10381	211	12092	1711	16
2016	11364	11026	338	12864	1838	17
2017	11315	11875	-560	12815	940	8

ჰესებზე ტარიფის დინამიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხუდონი ჰესის აშენებაზე საზოგადოების მხრიდან ხელისშეშლა, რომ არ ყოფილიყო, დღეისათვის ამ ჰესზე ტარიფი იქნებოდა მინიმალური, რაც გავლენას მოახდენდა ელექტროენერჯის ტარიფის კლებაზე.

ხუდონი ჰესის აშენების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია საზოგადოების წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ ხუდონი ჰესი ქვეყანას ელექტროენერჯით დამოუკიდებელს გახდიდა, საზოგადოება მაინც ვერ აღიქვამს მის მნიშვნელობას. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი, რაც ვფიქრობთ დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ენერჯეტიკას.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობას ჰიდრორესურსი მინიმუმ 80% მაინც აქვთ ათვისებული, საქართველოში ეს მაჩვენებელი 20%-ია, აუცილებელია საზოგადოებამ გაითავისოს, რომ ქვეყანას სჭირდება იმ რესურსის მაქსიმალურად ათვისება, რითაც მდიდარია.

მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს ჰიდრო რესურსის მაქსიმალურად ათვისებას, მაგალითად: ჩინეთში ჰესი „სამი ხეობის“ აშენებისთვის 2 ქალაქი ჩაიძირა, 1000-ზე მეტი არქეოლოგიური ობიექტი განადგურდა და 1300000 ადამიანი იძულებით გადასახლდა, მიუხედავად ამ უარყოფითი თვისებებისა, ჰესის დადგმული სიმძლავრე 22500 მგვტ-ია რაც მთელი ჩინეთის ელექტროენერჯის 10% შეადგენს.[ინფორმაცია მოძიებულია სხვადასხვა ვებგვერდებზე]

მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს აზრი, რომ ხუდონი ჰესის აშენება აუცილებელია. ჩატარებული გამოკითხვა თუ რას ფიქრობენ ხუდონი ჰესის აშენებაზე შემდეგია:

თქვენი აზრით ხუდონჰესი უნდა აშენდეს?

ა)კი 79 (48.8%)

ბ)არა 83 (51.2%)

საზოგადოების ესეთი მიდგომა, ამყარებს სადისერტაციო ნაშრომის მთავარ აზრს, „ენერგეტიკის განვითარებაში საზოგადოების განათლების მნიშვნელობა“, რადგან მისი არქონით, ახლაც ხდება ხელისშემშლელი ისეთი პროექტის განხორციელებაში, რომელიც ქვეყანას ელექტროენერჯით დამოუკიდებელს გახდიდა.

გასათვალისწინებელია ხუდონი ჰესის უარყოფითი მხარეები: კაშხლის მშენებლობით დაიტბორება 528 ჰექტარი ტერიტორია, რის შედეგადაც წყლის ქვეშ მოექცევა სოფლები: ხაიში, დაკარი, გაღმა ხაიში და ტობარი, ასევე ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია. გარდა ამისა, საპროექტო არეალში ექცევა სხვა ათი დასახლებული პუნქტი, რომლის ნაწილი ასევე საჭიროებს განსახლებას. საზოგადოებამ უნდა შეაფასოს დადებითი და უარყოფითი მხარეები, რის შემდეგაც უნდა

მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ყველასთვის ნათელია, რომ ნებისმიერი სამრეწველო ობიექტისა და, მით უმეტეს, ელექტროსადგურის მშენებლობა უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ცივილიზაცია შეუძლებელია, ბუნებრივ რესურსებზე ხელის ხლების გარეშე.

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა:

1. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად მიჩნეულია, საზოგადოების ენერგეტიკული განათლება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან მოყოლებული, ქვეყნის ენერგეტიკა მნიშვნელოვნად ვითარდება და იხვეწება, თუმცა კიდევ არის საზოგადოებაში კომუნისტური ეპოქის გავლენა, რაც გადამხდელის მენტალიტეტის არქონით გამოიხატება, ანუ მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო ვალდებულია ისინი უზრუნველყოს უფასო ელექტროენერგიით ან რაიმე სხვა სახის მომსახურებით. საზოგადოებაში ესეთი მცდარი აზრის არსებობის გამო, პარტიათა პოლიტიკური პროგრამების უმეტესობა, არაადეკვატურ განცხადებებზეა აგებული.

2. დარგში მიმდინარე მოვლენების განხილვით, ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები:

- საზოგადოების მიდგომა ენერგეტიკული ტარიფების მიმართ;
- საზოგადოების მიდგომა ენერგეტიკული რესურსების ათვისების მიმართ;
- ენერგეტიკით მანიპულირება საზოგადოებაზე;
- საზოგადოებაზე არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება;
- ენერგოეფექტიანობის მნიშვნელობის არასათანადოდ აღქმა საზოგადოების მხრიდან;
- საზოგადოების სოლიდურმა ნაწილმა არ იცის თავიანთი უფლებების შესახებ;
- საზოგადოების სოლიდური ნაწილი არ იყენებს ენერგიას უსაფრთხოდ(ამ კუთხით ძირითადი პრობლემაა ბუნებრივი გაზის მოხმარების კუთხით).

3. ნაშრომში განხილულია, ზემოთ ხსენებული პრობლემების გადაჭრის გზები:

- საზოგადოებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, ენერგეტიკული ტარიფების მნიშვნელობაზე, და უნდა გაითავისონ, რომ აღარ არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური წყობა და ენერგიით მომსახურეობა ვერ იქნება უფასო.
- იმის გათვალისწინებით, თუ რა ენერგეტიკულ რესურს ფლობს ქვეყანა და რა არის ათვისებული დღესდღეობით, საზოგადოებამდე უნდა მივიდეს ინფორმაცია, რომ ქვეყანას სჭირდება ჰიდრორესურსების შეძლებისდაგვარად ოპტიმალურად ათვისება, რათა გახდეს ელექტროენერგიით დამოუკიდებელი ქვეყანა.
- საზოგადოებაში არასათანადო ინფორმაციისა და ცოდნის გამო ენერგეტიკის შესახებ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისგან ადვილად ხდება, ენერგეტიკით მათზე მანიპულირება;
- XXI საუკუნეში ხალხზე ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა სოციალური მედია და სოციალური ქსელები, რისი გამოყენებაც უნდა მოხდეს ენერგეტიკაში, რათა საზოგადოებამდე მივიდეს ჯანსაღი აზრი.
- აუცილებლად უნდა მოხდეს ენერგოეფექტიანობის პოპულარიზაცია და მისი მნიშვნელობის აღქმა საზოგადოების მხრიდან, ენერგოეფექტიანობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამატებით ენერგეტიკულ რესურსად. მოქალაქეებამდე უნდა მივიდეს ინფორმაცია, რომ მათ მიერ დაზოგილი ენერგია პირდაპირ კავშირშია ახალი ენერგიის წარმოებასთან.
- საზოგადოების ინფორმირებულობა და ცოდნა დარგში მოქმედი წესების და კანონების შესახებ, პირდაპირ მოქმედებს ენერგო კომპანიების მხრიდან მომსახურეობის ხარისხის გაზრდაზე.

4. ენერგეტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, ერთ-ერთი საუკეთესო გზა მედია საშუალებით ხალხზე ინფორმაციის მიწოდებაა, ყურადღება უნდა დაეთმოს დარგის გაპიარებას, ანუ ენერგეტიკის განვითარების გეგმა უნდა დაიწეროს ორ ენაზე:

- დარგში მოღვაწე პროფესიონალი საზოგადოებისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე;

5. როდესაც ხდება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ენერგეტიკაში, აუცილებლად უნდა გაკეთდეს პროგნოზი, რამდენად ობიექტურად მიუდგება საზოგადოება მიღებულ გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი ესეთი პრობლემა იყო „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც არ იყო გამჭვირვალე და საზოგადოებამდე ინფორმაცია მივიდა მაშინ, როცა გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. გადაწყვეტილება მანიპულაციის საგნად იქცა, ოპოზიციური პარტიის მხრიდან, მმართველ პარტიის მიმართ, ხოლო საზოგადოებას დღესაც ვერ გაურკვევია რომელი მხარეა მართალი. შეიძლება ენერგეტიკის სამინისტრომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ გაასაჯაროა გადაწყვეტილება, მაგრამ ფაქტია, რომ გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში გამოიწვია უკმაყოფილება და უნდობლობა, რაც წლების შემდეგ აუცილებლად იქონიებს გავლენას რაიმე მნიშვნელოვანის გადასაწყვეტად.

6. სადოქტორო ნაშრომში საზოგადოებაზე შეთავაზებულია, ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის განსხვავებული მოდელი. გამომდინარე ქვეყნის დაბალი ეკონომიკური დონიდან და გადამხდელუნარიანი მოსახლეობის სიმცირიდან, ბუნებრივი გაზის გადახდის სისტემის განსხვავებული მეთოდი, მოსახლეობას საშუალებას მისცემდა ზაფხულის ხარჯზე, ზამთარი უფრო იოლად გაეტარებინა და შეემცირებინა ბუნებრივი გაზის გათიშვის ალბათობა ზამთარში.

7. ენერგეტიკის განვითარებისთვის, ნაშრომი ერთ-ერთ კრიტერიუმად ასახელებს საზოგადოების განათლების და მათზე სწორი ინფორმაციის დროულად მიწოდების ფაქტორს. ენერგეტიკის დარგს სთავაზობს დროულად და ხარისხიანად მოხდეს ხალხზე სწორი ინფორმაციის მიწოდება, რათა არ მოხდეს საზოგადოების მხრიდან ხელისშეშლა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს.

8. ენერგეტიკის განვითარებისთვის საჭირო ფიგურებში, მოისაზრება საზოგადოება და მისი განათლების მნიშვნელობა.

საზოგადოებაზე, ინფორმაციის დროულად და მამტაბურად მიწოდებისთვის, შეთავაზებულია ამის საუკეთესო გზა, სოციალური მედია.

9. ჩამოყალიბებულია ის აუცილებელი ინფორმაციები, რასაც უნდა დებულობდეს საზოგადოება:

- ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების შესახებ
- დაგეგმილი ინვესტიციების შესახებ
- ენერჯის წარმოების შესახებ
- ენერჯის მოხმარების შესახებ
- ენერჯის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ
- დარგში მოქმედი ენერჯო კომპანიების შესახებ
- ტარიფების მნიშვნელობის შესახებ
- არსებული რესურსების პრიორიტეტების შესახებ
- ენერჯოეფექტიანობის შესახებ
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ
- ენერგეტიკის მნიშვნელობის შესახებ და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩომახიძე დ. ენერგეტიკა და საზოგადოება (ლექციების მოკლე კურსი). თბილისი: "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2011, 112 გვ. (ელექტრონული ვერსია)
2. თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი: შპს „დანი“, 2006, 50 გვ.
3. ჩომახიძე დ. ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. თბილისი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012, გვ. 222-227.
4. ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი: შპს „პდპ“ 2008, 545 გვ.
5. არაბიძე გ. გუდიაშვილი მ. ჯიშკარიანი თ. ენერგეტიკა და საზოგადოება. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2015, გვ. 125.
6. Shonia G. Georgian Regulator Reflects on Growth, Relationship with USAID and NARUC. (www.naruc.org)
7. ჩომახიძე დ. ქვეყანას ენერგეტიკული ბალანსი ესაჭიროება. ბიზნეს ინჟინერინგი, 2013 წ, №3 , გვ. 194-198.
8. ჩომახიძე დ. ცხაკაია ქ. ბიბილაშვილი ლ. ენერგეტიკის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- "ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები", მოხსენებების კრებული, ქუთაისი, საქართველო, 2015.
9. სამსონია ნ. ჩომახიძე დ. გუდიაშვილი მ. ეკონომიკა და მართვა ენერგეტიკაში. თბილისი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017, გვ.250.
10. ჯაფარიძე დ. საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება ენერგეტიკაში. თბილისი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 321.
11. მწვანე ალტერნატივა. საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება. ევროინტეგრაციის გამოწვევები, 2015. (<http://greenalt.org>)
12. შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ტექნიკური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
13. ჩომახიძე დ. ერთი ტერმინის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა, №232, 2015.

14. ბალავაძე დ. საზოგადოების განათლების მნიშვნელობა ენერგეტიკაში. "ბიზნეს-ინჟინერინგი", 2017, №3, გვ. 357-358.
15. ბალავაძე დ. საზოგადოება და ენერგო უსაფრთხოება (ბუნებრივი გაზის მაგალითზე). "ინტელექტუალი", 2018, №35, გვ. 186-192.
16. ბალავაძე დ. საზოგადოება და ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის სისტემის კვლევა. "ენერჯია", 2018, №1(85), გვ. 50-54.
17. საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. 1997 წ.
18. პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების მოკლე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. www.minenergy.gov.ge
19. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, 2009 წლის 12 დადგენილება „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესები“. (www.gnerc.org)
20. სემეკის წლიური ანგარიში 2000წ.
21. სემეკის წლიური ანგარიში 2001წ.
22. სემეკის წლიური ანგარიში 2002წ.
23. სემეკის წლიური ანგარიში 2003წ.
24. სემეკის წლიური ანგარიში 2004წ.
25. სემეკის წლიური ანგარიში 2005წ.
26. სემეკის წლიური ანგარიში 2006წ.
27. სემეკის წლიური ანგარიში 2007წ.
28. სემეკის წლიური ანგარიში 2008წ.
29. სემეკის წლიური ანგარიში 2009წ.
30. სემეკის წლიური ანგარიში 2010წ.
31. სემეკის წლიური ანგარიში 2011წ.

32. სემეკის წლიური ანგარიში 2012წ.
33. სემეკის წლიური ანგარიში 2013წ.
34. სემეკის წლიური ანგარიში 2014წ.
35. სემეკის წლიური ანგარიში 2015წ.
36. სემეკის წლიური ანგარიში 2016წ.
37. სემეკის წლიური ანგარიში 2017წ.
38. ენერგო ომბუდსმენის 2014 წლის ანგარიში.
39. ენერგო ომბუდსმენის 2015 წლის ანგარიში.
40. ენერგო ომბუდსმენის 2016 წლის ანგარიში.
41. ენერგო ომბუდსმენის 2017 წლის ანგარიში.
42. <http://www.gnerc.org>
43. <http://www.telasi.ge/>
44. <http://www.energo-pro.ge/ka/>
45. <http://esco.ge/ka>
46. <http://pdci.ge/>
47. <https://www.gwp.ge/>
48. <http://gogc.ge/ge/>
49. <https://www.ktg-tbilisi.ge>
50. <http://www.energy.gov.ge>
51. <http://www.geostat.ge/>
52. <https://erranet.org/>
53. <http://ec.europa.eu/eurostat>

54. <http://www.economy.ge/>
55. <https://www.facebook.com/ktg.tbilisi/>
56. <https://www.facebook.com/jsctelasi/>
57. <https://www.facebook.com/gnerc/>
58. <https://www.facebook.com/SOCARGeorgiaGas/>
59. <https://www.facebook.com/georgianwaterandpower/>
60. <https://www.statista.com/>
61. <http://www.nplg.gov.ge/>
62. <http://liberali.ge/>